ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 28 (1429) 30.VIII-5.IX 1995 წ.

## აფეთქება პარლამენტის შენობის წინ

**გუშინ, დაახლოებით 6 საათსა და 30 წუთზე პარლამენტის შენობასთან გაისმა უზარმაზარი აფეთქების ხმა და შენობის თავზე მყისიერად ავარდა ბოლი. აფეთქების ხმა იმდენად ძლიერი იყო, რომ მთლიანად დაილეწა მომიჯნავე შენობის მინებიც.**

ამ სტრიქონების ავტორმა მხოლოდ 30 წამით გამოასწრო მანქანით იმ ადგილს, სადაც ბომბი აფეთქდა და ამდენად თითქმის თვითმხილველის უფლებით შემიძლია აღვწერო ის საშინელება, რაც უკან მიბრუნებულმა ვიხილე.

პარლამენტის შენობის წინ მოთავსებულია ავტოსადგომი, რომლითაც პარლამენტარები, აპარატის მუშაკები და სახელმწიფოს მეთაური სარგებლობს. პარლამენტის სხდომა ახალი დამთავრებული იყო და დეპუტატებმა საბედნიეროდ, დარბაზიდან აფეთქებას, როგორც იტყვიან, ერთი ფეხით გაასწრეს, მაგრამ როგორც ავტოსადგომი, ისე პარლამენტის შენობაში, ადამიანები მაინც მრავლად იყვნენ. ერთდროულად ცეცხლი მოედო ათამდე მანქანას. იმდენად ძლიერი იყო ცეცხლი, რომ შეუძლებელი გახდა მიახლოება, მანქანა მანქანაზე ფეთქდებოდა, არავინ იცოდა, შიგ იწვოდა ვინმე თუ არა, იქ იდგა თუ არა სახელმწიფოს მეთაურის მანქანა. რამდენიმე დაჭრილ-დასახიჩრებულმა მოასწრო გამოღწევა. შენობის ფანჯრების მსხვრევისას დაიჭრნენ შენობაში მყოფი ადამიანებიც, მათ შორის ნოდარ ნათაძე. სასწრაფო დახმარების მანქანები სასწრაფოდ არ გამოჩენილან. დაჭრილები პირადი მანქანებით წაიყვანეს. დაახლოებით 10—15 წუთის შემდეგ გამოჩდნენ სახანძრო მანქანები.

ნ. თორელი
29.VIII 19 სთ.

**P.S.** თავდასხმა, რა თქმა, უნდა მოხდა სახელმწიფოს მეთაურზე. აფეთქებულია შევარდნაძის მანქანა. დაჭრილია რამდენიმე პოლიციელი.





## ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერნი
### აკაკი ბაქრაძე, მუხრან მაჭავარიანი და ნოდარ ნათაძე,
### მივმართავთ ქართველ ხალხს და საქართველოს მოქალაქეებს

მიმართვის ტექსტი იხ. მე-4 გვერდზე

პარლამენტი

# იყო გაგება და აღტაცება „დღესასწაულს კი ის დღე არ ჰგავდა“...

**საქართველოს პარლამენტმა ხუთშაბათს, 24 აგვისტოს მიიღო საქართველოს კონსტიტუცია. 1995 წლის 24 აგვისტოს დასრულდა ხანგრძლივი საპარლამენტო დებატები ქვეყნის ძირითადი კანონის გარშემო.**

**სხდომის** დასაწყისშივე შეიმჩნეოდა, რომ ყველაფერი უკვე გადაწყვეტილი იყო შემთანხმებელ კრილობაზე, რაშიც დიდი როლი ითამაშა წინა დღეს გამართულმა დახურულმა სესიამ. კონსტიტუციის მიღების წინარე პერიოდი ერთობ დაძაბული გახლდათ, მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციის შექმნაში ლომის წილი გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის დეპუტაციას ჰქონდა, ეს უკანასკნელნი მის სხვა სახელწოდებით მიღებას უჭერდნენ ხმას. სახელმწიფოს მეთაურის სურვილი იმდენად დიდი იყო, მიეღოთ კონსტიტუცია, რომ იგი რესპუბლიკელებთან დიდ დათმობებზე წავიდა,რაც საპარლამენტო უმრავლესობის ჩუმ გულისწყრომას იწვევდა. რესპუბლიკელებმა იცოდნენ რა, რომ მათ გარეშე კონსტიტუციის მიღება გაჭირდებოდა, კარგად გათვალეს საკუთარი შესაძლებლობები და ფაქტიურად მიაღწიეს ტექსტში იმ კონდიციას, რამაც ბოლოს ერთსულოვანი შეფასება გამოიწვია, როგორც უმაღლესი დონის დოკუმენტისა. გამოიკვეთა, რომ სწორედ „ხელისშემშლელ ოპოზიციას“ შესძლებია ქვეყნის ძირითად დოკუმენტზე კარგად მუშაობა და თავიანთი პრინციპების ტაქტიანი გატანაც. ედეპე ამ პროცესის ბოლო დღეს ერთგვარად თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა. მათ დააფიქსირეს საკუთარი პოზიცია: ჩვენ, მართალია, თავს ვიკავებთ კენჭისყრაში მონაწილეობისაგან, მაგრამ კონსტიტუციის მიღების შემთხვევაში მას პატივს ვცემთო, რაზეც სახელმწიფოს მეთაურმა სერიოზული სახით, მაგრამ ირონიული შინაარსის შემცველი ფრაზით უპასუხა, მადლობელი ვარ იმ პარტიის, რომელიც კონსტიტუციას პატივს სცემსო. ცხადია, კონსტიტუციის პატივისცემა მოქალაქეთა თუ ამა თუ იმ პარტიის კეთილი ნების გამოხატულება არ არის მხოლოდ, ეს მოვალეობაა...

დეპუტატ ღარიბაშვილს არ მოეწონა ის ფაქტი, რომ აფხაზეთის დეპუტაციას, ალბათ, უფლებამოსილების ვადის გაგრძელება მოუწევს, ხოლო ზურაბ ჟვანიას პატიოსნად წამოსცდა — სერიოზულად გადავხედოთ მთელს ჩვენს პოლიტიკას აფხაზეთთან მიმართებაშიო...

რესპუბლიკელმა დავით ბერძენიშვილმა თავის გამოსვლაში ისაუბრა იმ „სამზარეულოს“ შესახებ, თუ როგორ მზადდებოდა კონსტიტუცია და საჯაროდ განაცხადა ამ პროცესში რესპუბლიკელთა განსაკუთრებული წვლილის შესახებ, იმის შესახებ, თუ რა გაკეთდა და რის ფასად, რათა დოკუმენტი მსოფლიო სტანდარტების დონეზე ყოფილიყო და მთლიანად ეპასუხა ეროვნული ინტერესებისათვის. ბატონმა ჟვანიამ ამ სიტყვის განეიტრალება და უმრავლესობის დიდი წვლილის ხაზგასმა განიზრახა ქვეყნის მეორე გამოსვლაში. ისიც გაითვალისწინა, რომ ნ. ნათაძის სიტყვებს პარლამენტარები ტაშით შეხვდნენ. აქაოდა, ამ რესპუბლიკელებმა ზედმეტი მოწონება არ დაიმსახურონო, სიტყვის მეორედ წარმოთქმაც ამად განიზრახა.

მან უმრავლესობის დიდი წვლილი იმაში დაინახა, რომ ჩვენ მუშაობის დროს დიდ კომპრომისებზე წავედითო, შემდგომ უმრავლესობისავე წარმომადგენელმა ღარიბაშვილმა, რატომღაც აღარ აცალა საუბარი და ბატონმა ზურაბმა პროტესტის ნიშნად,ტრიბუნა დასტოვა.

შედგა კენჭისყრაც. საქართველოს კონსტიტუცია მიღებულ იქნა 157 ხმით. პარლამენტში ხანგრძლივი ტაშის გრიალი, ხვევნა-კოცნა და მილოცვები ატყდა, დარბაზში სადღესასწაულო განწყობილება სუფევდა, მაგრამ ჩვენი ქვეყნის მდგომარეობის გამო, დღესასწაულს ის დღე მაინც არ ჰგავდა, და ეს სახელმწიფოს მეთაურის შემაჯამებელ სიტყვებშიც გამოიკვეთა.

# შაქიაშვილი კარცერის უფროსად, — ბარამიძე კარცერში...

## «ისინი ჯარისკაცებს მიჰყვებოდნენ» – ჩვენ ჯარისკაცებს წინ წავუძღვებით?

**ამ წერილში** სულაც არ ვაპირებ ვისაუბრო მომხიბლავ მარი ლაფორზე და ფილმზე „ისინი ჯარისკაცებს მიჰყვებოდნენ“.

კინოფილმის ეს სათაური გია ბარამიძის მიერ სახელმწიფოს თავდაცვის შესახებ 101 მუხლში შეტანილმა შესწორებამ მომაგონა. იმ დღეს სესიაზე ახალგაზრდა დეპუტატი „ნამეტნავად“ სამუშაო განწყობით იყო მოსული. როდესაც მისი ერთი შესწორება არ გავიდა, რატომღაც ძალიან გაჯიუტდა და მიკროფონიდან ფეხის მოცვლასაც არ აპირებდა. „ოღონდ ეხლა მოხსენი შენი წინადადება და ამის შემდეგ შენს ყველა შესწორებას მივიღებთო“ — შეპირდა სახელმწიფოს მეთაური და დახმარება შაქიაშვილს სთხოვა — „ქალბატონო ლუიზა, გიას თქვენ მიხედეთო!“ არ ვიცი ბარამიძეს შაქიაშვილის მეურვეობა არ მოეწონა, შევარდნაძის „სიტყვაზე გამოჭერა“ მოინდომა თუ უბრალოდ გადაწყვეტილი ჰქონდა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა იმ დღეს ერთი შესწორება მაინც შეეტანა საკონსტიტუციო პროექტში და როდესაც 101 მუხლის განხილვა დაიწყეს, სადაც ეწერა: „მამრობითი სქესის ყოველი მოქალაქე მოვალეა კანონით დადგენილი წესით მოიხადოს სამხედრო ვალდებულება ან მისი ალტერნატიული სამსახური, რომელიც განისაზღვრება კანონით“ — ხელები გაასავსავა, გინდათ თუ არა სიტყვები „მამრობითი სქესი“ ამოიღეთ, ქალიც ადამიანია და წავიყვანოთ ჯარშიო. ამ წინადადებას ცნობილმა „აგრარმა“ როინ ლიპარტელიანმა გახარებულმა დაუკრა კვერი: თუ გვინდა ქვეყანა სახელმწიფოს გავდეს, ქალებმა სამხედრო ვალდებულება უნდა მოიხადონო და ისრაელის მაგალითი წინ დროშასავით აგვიფრიალა. თან ალბათ იმის წარმოდგენით ტკბებოდა, თუ გაურკვევლ ღრიცხოვანი აგრარული პარტიის წევრი ქალები მისი ერთი მოწოდების შემდეგ როგორ გადაყრიან თოხებს, ხელში შაშხანებს აიღებენ და სიმღერით „ჯერ ქალებს გვესროლეთ და მერე“ — ჯარს წინ წაუძღვებიან...

„ჩვენ კაცები ვერ წაგვიყვანია ომში და ეხლა ქალების წაყვანა მოინდომეთო“ ჩაიქნია ხელი ვეტერანების უფროსმა ბერიძემ. ამასობაში საკითხი კენჭისყრაზეც დადგა. გამხიარულებულმა და ანცობის ხასიათზე დამდგარმა მამაკაცებმა გადაწყვიტეს, ვითომ რატომ არ უნდა წავიდეს ქალი ჯარში, ჩვენ მარტოები ცოდოები არა ვართო და წინადადება 163 ხმით იქნა მიღებული.

შედეგით კმაყოფილმა გია ბარამიძემ იქვე მოინდომა ქალთა ბატალიონის შექმნა და მოხალისეებს ძებნა ჟურნალისტთა კორპუსში დაუწყო, რაც შეეხება დეპუტატ ქალბატონებს, ჯარში მათ წაყვანაზე ჯერ თავი შეიკავა, მაგრამ შემდეგ გადაწყვიტა ლუიზა შაქიაშვილისათვის ჰაუპტვახტის უფროსობა ჩაებარებინა. იმედია ქალბატონი ლუიზა ნამდვილად ღირსეულად გაუძღვება ამ მოვალეობას და ქალებს „ატმასკას იმით აგვილებს“, რომ გია ბარამიძეს დარჩენილი სიცოცხლის გატარება კარცერში მოუწევს, თანაც ყოველგვარი „ბაევაია პადრუგას“ გარეშე.

ხუმრობა იქით იყოს და საკონსტიტუციო პროექტში შესწორება მიღებულია, ეხლა ჯერი კანონზეა. ძვირფასო მანდილოსნებო ნუ გაგიკვირდებათ, თუ ერთ მშვენიერ დღეს სამხედრო ფორმაში გამოწყობილები ფრონტის წინა ხაზზეც აღმოჩნდეთ, რადგან საიდუმლოდ გაგიმხელთ, რომ მამაკაცები შეგვპირდნენ— კანონს მივიღებთ კი არა, მეტსაც ვიზავთო.

„რიადავაია“ ნაკაშიძე

# კონსტიტუციის ამერიკულ ვარიანტს კახელები ხმას აზერბაიჯანული ვარიანტით მისცემენ

## არის ამქვეყნად დაგვიანება. მაგრამ ამდენი ხნით?

**საქართველოს** პარლამენტის საგანგებო სესიები როგორც წესი დაგვიანებით იწყება. თუ 10 საათზე დაიბარა დეპუტატები შევარდნაძემ, თერთმეტისთვის იწყებს სესია მუშაობას, თუ დღის 4 საათზე, სადღაც ხუთისთვის. მოგეხსენებათ ქართველების ამბავი — დაიბარებ ექვსზე და მოგადგება რვაზე. ედუარდ შევარდნაძემ სხვა რომ ვერაფერი გააწყო „ზლოსტნი“ დამგვიანებლებთან, ზემოქმედების ახალ ხერხს მიმართა, როგორც კი ვინმე დეპუტატი დაგვიანებით შემოდის სესიაზე, მაშინვე რადიოთი აუწყებს მსმენელებს: აი ნოლაიდელი შემოგვიერთდა, ბატონი ლიპარტელიანიც მობრძანდა, ჟვანიამ დააგვიანა, მაგრამ რაც მთავარია მოვიდა და ა.შ. ეს მეთოდი ჭკუაში დაუჯდა რესპუბლიკელ ფრიდონ საყვარელიძეს და სახელმწიფოს მეთაურს შესთავაზა: ეს კარგი რეკლამაა, მოდი გავალ, შემოვალ და დამასახელეო.

## დეპუტატები ხელფასს ითხოვენ...

**სანამ** ქვორუმი შეიკრიბება და სესია მუშაობას დაიწყებს დეპუტატები პატარ-პატარა განცხადებებს აკეთებენ. მაგალითად, ერთ-ერთი დეპუტატი საკმაოდ შეშფოთებული კითხულობდა ამ თვეში ხელფასს თუ მოგვცემენ ზედმეტად რომ ვმუშაობთო. გელა გოდერძიშვილმა კი კახელების შემონათვალი გადასცა სახელმწიფოს მეთაურს: კონსტიტუციის ამერიკულ ვარიანტს ხმას აზერბაიჯანული ვარიანტით მივცემთო... საქმე იმაშია, რომ საგარეჯო კარგა ხანია საქართველოს ტელევიზიის გადაცემებს ვერ იღებს და კახელები ბაქოს უყურებენ.

## რომელ ენაზე იმუშავებს სასამართლო?

**აზერბაიჯანული** ვარიანტის რა მოგახსენოთ და დეპუტატი ხჩიანი ტაჯიკური კონსტიტუციის დიდი თაყვანისმცემელი აღმოჩნდა. როდესაც იხილებოდა საკითხი სასამართლო ხელისუფლების შესახებ ი. მელაშვილმა მოითხოვა საკონსტიტუციო პროექტში ჩაწერილიყო, რომ სასამართლოში საქმის წარმოება მიმდინარეობს ქართულ ენაზე, ან სახელმწიფო ენაზე. როგორც კულუარებიდან შევიტყვეთ ამ საკითხზე შემთანხმებელი კომისია ვერ მორიგდა, რადგან ამუშავდა მექანიზმი: სიტუაცია არ გავამწვავოთ, ქართული ენა ყველამ არ იცის, რა დროს ხალხის გაღიზიანებააო... ჩემთვის პირადად გაუგებარია, რატომ უნდა გააღიზიანოს საქართველოში მცხოვრები საქართველოს მოქალაქე იმ ფაქტმა, რომ სასამართლოში საქმის წარმოება ქართულად მიმდინარეობს. შესვენების დროს დეპუტატი ხჩიანი ტაჯიკეთის კონსტიტუციით ხელდამშვენებული სეირნობდა და ...ლაშვილს ეპატიჟებოდა-წაიკითხე, ნახე რა კარგი რამე წერიაო: სასამართლოში საქმის წარმოება ხდება სახელმწიფო და რუსულ ენებზე, ხოლო კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში მოსახლეობის ენაზე... რაზეც მელაშვილმა განაცხადა ტაჯიკეთის კონსტიტუცია ჩემთვის მაგალითი არ არისო და იქაურობას გაეცალა. მე ეს საკითხი უნდა დავაყენო, თორემ ჩემი ამომრჩევლები არ მაპატიებენ— გვითხრა ხჩიანმა, მით უმეტეს, რომ ეხლა არც საქმე აქვთ, არც ფული და ყველანი პოლიტიკით დაინტერესდენო.

შესვენების შემდეგ მიიღეს შესწორებული ვარიანტი, სადაც ჩაწერილია, რომ სასამართლოში საქმის წარმოება მიმდინარეობს სახელმწიფო ენაზე. საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება თარჯიმანი, ხოლო სახელმწიფო თავის მხრივ ყოველ ღონეს იხმარს რათა უზრუნველყოს ქართული ენის შესწავლა.

ლელა ნაკაშიძე

# მადლობა ლენინს!..

**ცხინვალი.** (ჩვენი კორ.). ვისაც ცხინვალში რკინიგზის სადგურის მიდამოებში გაუვლია, შეამჩნევდა,რომ ვედროებით, სხვა სახის ჭურჭლით ეზიდებიან წყალს. საქმე იმაშია, რომ სამ წელზე მეტია სადგურისპირა ქუჩის №12 და №14 კომუნალურ სახლებში მოშლილია წყალგაყვანილობა და იქ მაცხოვრებლები წყალს ეზიდებიან მიმდებარე ქუჩებიდან.

სადგურის მოედანზე აღმართულია ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ძეგლი. მის გარშემო გაშენებულ სკვერს ყოველ დილა-საღამოს რწყავენ, ჰო-და, ამ დროს აქ მოდიან სადგურისპირა ქუჩის მცხოვრებნი და ჭურჭელს ივსებენ წყლით, ამიტომ ხშირად გაიგონებთ მათგან: „მადლობა ვლადიმერ ილიჩს წყლის მოცემისათვის, ყველა იმედი მხოლოდ თქვენზეა!“

გაზეთი „შიდა ქართლი“ №11, 1995 წ.

# აფხაზებმა გააუპატიურეს 72 წლის ქართველი მანდილოსანი

განუკითხაობა ქართული ეროვნების აქაიქ შემორჩენილი მოსახლეობის მიმართ აფხაზთაგან ოკუპირებულ ქართულ მიწა-წყალზე გრძელდება. ვიდრე ამა სოფლის ძლიერნი მოლაპარაკების მაგიდასთან იუდას კოცნით ერთმანეთს ამბორსყოფენ და სამშვიდობო პროცესის დაწყების შესახებ უკვე ათასმეერთედ ერთურთს ებაასებიან, აფხაზი ბოევიკები ქართულ მოსახლეობას ყოველდღიურად აგდებენ ჯოჯოხეთურ დღეში. ცემენ, წვავენ, ყიდიან, აუპატიურებენ. ერთი სიტყვით მათთვის მონის უფლებებიც კი არ არის გარანტირებული. (მონას პატრონი მინიმალური ულუფით მაინც უზრუნველყოფდა) ამ რამდენიმე დღის წინ კიდევ ერთი ბარბაროსობის მოწმენი გახდნენ აჩიგვარის ქართველები. ოთხმა შეიარაღებულმა აფხაზმა 72 წლის მოხუცი მანდილოსანი გააუპატიურა...

განმკითხავი არავინ

# დააპატიმრეს გამგებელი

დააპატიმრეს ხობის გამგებელი გერგაია, რომელსაც ბრალად ედება ნარკოტიკების გამოყენება. ხობში დანიშნულია ახალი გამგებელი ქარდავა.

# განცხადება

შაბათს, 2 სექტემბერს 12 საათზე ჩატარდება გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის დარბაზის სხდომა.

წევრთა დასწრება სავალდებულოა.

პარტიის აპარატი

# „სამშვიდობო“ ძალები სვანეთში

სვანეთში, საქართველოს ამ ულამაზეს კუთხეში მოგზაურობა დღეს, ახალი დანტე რომ გამოჩნდებოდეს, მოითხოვს ახალი მხატვრული ნაწარმოების შექმნას. ალბათ დაიწერებოდა ახლებური ვარიანტი ნაწარმოებისა — „მოგზაურობა ჯოჯოხეთში“. სვანეთი თავისი მშვენიერებით, ცხადია, კვლავ სვანეთად დარჩა, მაგრამ პირობები იქ ცხოვრებისა გახლავთ ნამდვილად ჯოჯოხეთური.

ძალიან მოკლედ რამდენიმე გარემოებას გავუსვამთ ხაზს.

1) მიუხედავად იმისა, რომ კუპონის შემოღებიდან დღემდე პარლამენტი მის ერთადერთ საგადასახადო საშუალებად გამოცხადებას ითხოვს, საქართველოს ვერცერთ ნაწილში ეს ვერ მოხერხდა, ამ მხრივ მხოლოდ სვანეთი „დაემორჩილა“ ეროვნული ვალუტის ქომაგებს. კუპონს სხვანაირად „სვანურ ფულსაც“ ეძახიან. იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მესტიის რაიონში სხვა ფულის ჭაჭანება არ არის, რადგან იქ გასაყიდად ვერაფერი შედის და ვერაფერი გამოდის (ცხადია ხელის ბიდონებით ჩატანილ ბენზინს არ ვგულისხმობ).

2) ხელფასის სახით დარიგებული კუპონიც, მოგეხსენებათ, ისე მცირეა, რომ შეიძლება ითქვას, კუპონიც სიმბოლურად არსებობს სვანეთში.

3) მოსახლეობა იძულებულია ფულის ნიშნების არ არსებობის გამო ნატურალურ გაცვლა-გამოცვლაზე გადავიდეს, მაგალითად თივას იყიდი ფიცარზე, დათვლი კუპონებივით ფიცრებს და მიიღებ თივას ან ხორცს და ა.შ.

4) ყველაფერ ამის მიზეზი კი გახლავთ უგზოობა. სვანეთში საჰაერო გზა ფაქტიურად გაუქმებულია. იქ ვერტმფრენის გამოჩენა უკვე შემაშფოთებელი მოულოდნელობის გრძნობას აღძრავს (ვინმე ხომ არ გახდა სასწრაფოდ საოპერაციო ან მთავრობის კაცი ხომ არ მოდის და ა.შ.).

რაც შეეხება საავტომობილო გზას, „გზას ვიტყვით, მაგრამ რა გზაა ბილიკი დაკიდებული“, აქ მხოლოდ ყველაზე თავგანწირულთ ან სიმთრვალისაგან გულმიცემულ მძღოლებს შეუძლიათ იმოგზაურონ.

ყველაფერ ამას თან ერთვის ყაჩაღებისაგან თავდასხმის შიში. ყაჩაღები შარშანდელთან შედარებით მართალია მნიშვნელოვნად შემცირდნენ, მაგრამ დიდი ბედენა მაინც არ არის ყოველ მოსახვევში გელოდება ავტომატმომარჯვებული ნიღბოსანი თუ ერთ-ერთ მოსახვევშია იგი ჩასაფრებული.

ბოლო კვირეებში რამდენიმე შემთხვევა იყო უცხოელთა დაყაჩაღებისა, რომელნიც ჰუმანური მისიით მიდიოდნენ მესტიისაკენ.

ამ პირობებში ჩავარდნილი ხალხი ადვილი წარმოსადგენია როგორ ცხოვრობს, მაგრამ მაგარი ის არის, რომ თუ გლეხკაცი ყაჩაღსაც გადარჩა, გზაზეც უხიფათოდ იარა, ბოლოს მაინც წააწყდება თოფიან ტარტაროზებს, რომელნიც სიმწრით მოყვანილ კარტოფილს, ყველს და სხვა პროდუქტებს უკვე კანონის სახელითართმევენ. ეს უკანასკნელნი გახლავთ რუსეთის სამშვიდობო ჯარის წარმომადგენლები, რომლებიც სვანეთის მთების დასაწყისში დგანან. ეროვნებით სომხები და ღმერთმა უწყის იქ რა მშვიდობას ამყარებენ, ან ვის აძლევს ხელს მათი იქ განლაგება.

უბრძანებენ მგზავრს, ჩამოყარე მანქანის ძარიდან ტომრები და დატვირთე შემდეგ, უნდა ვნახოთ ქვეშ იარაღი ხომ არ გიდევსო, მგზავრი იძულებულია, ერთი ტომარა მათ მიაშავოს და ა.შ.

ერთი სიტყვით, სვანეთში თუ დაბრძანდებით ნებართვის მიღება სომხებისგან დაგჭირდებათ, ისე როგორც იქიდან წამობრძანებისას.

კარგად ვცხოვრობთ...

# ფეხბურთს თავითაც თამაშობენ...

**ისე მოხდა, რომ მთელი საქართველოს ფეხბურთის მოყვარულთა იმედი და რწმენა ბათუმის „დინამოსკენ“ იქნა მიპყრობილი, ყველაზე მოუთმენელი გულშემატკივრები სტადიონისაკენ დილიდან დაიძრნენ. თამაშის დაწყებისათვის ამ ბოლო წლებში პირველად გაივსო სტადიონი.**

## სამი ტაში და „ბრავო“

ექვსის თხუთმეტ წუთზე მინდორზე სკოპეს „ვარდარის“ ფეხბურთელები შემოვიდნენ. მაყურებელი მათ ტაშით შეხვდა. ავიდნენ და დასხდნენ ტრიბუნაზე იქ, სადაც გუშინწინ „ობილიჩის“ ფეხბურთელები ისხდნენ.

ექვსის ოცდახუთ წუთზე სარბენ ბილიკებზე გამოჩნდა... ნუგზარ ჯუღელი, რომელსაც მაყურებელი ოვაციებით შეხვდა.

ექვსის ნახევარზე იუგოსლავიელები გაძოვიდხებ ძოთელვაზე.

ექვსს რომ ოცი წუთი დააკლდა მოედანზე მაყურებელთა ომახიანი ყიჟინის და მქუხარე ტაშის თანხლებით შემოვიდნენ მოთელვაზე ბათუმელები.

ფეხბურთელთა ტრადიციული ურთიერთმისალმების შემდეგ მოედანზე გამოვიდა თბილისის ფირმა „ჯორჯიან ინტერკოლის“ მოდების სალონის „ნინოს“ (ხელმძღვანელი მხატვარ-დიზაინერი ნინო ფრანგიშვილი) ათი მომხიბლავი ნახევრად შიშველი ქართველი გოგონა და ყვავილების თაიგული მიართვა ფეხბურთელებს მაყურებელთა „ბრავოს“ შეძახილების თანხლებით, რომლებმაც მიღებული ჟესტით ეს ყვავილები მაყურებლებს „უძღვნეს“.

## მატჩი

საკუთრივ თამაშის პერიპეტიებზე აქ არ შევჩერდებით. მატჩის ტელერეპორტაჟი ტელევიზიითაც გადაიცა და სტატისტიკური მონაცემები თამაშის მიმდინარეობის შესახებ გულშემატკივრებისთვის კარგადაა ცნობილი. ისე ყოველ შემთხვევისათვის შეგახსენებთ, რომ პირველი ტაიმი დამთავრდა ანგარიშით 2:0 „ობილიჩის“ სასარგებლოდ, ბურთები გაიტანეს შარანცმა (მე-8 წთ) და პოპოვიჩმა (32 წთ). მეორე ტაიმში კი ჯერ მაჭუტაძემ (მე-60 წთ). შემდეგ კი მუჯირმა (78-ე წთ. პენალტით). გაათანაბრეს ანგარიში. საბოლოო შედეგი — 2:2. ბათუმელები უეფას თასის გათამაშების მომდევნო ეტაპზე გავიდნენ.

## პრესკონფერენცია

კონფერენც-დარბაზში კარგად ორგანიზებული პრესკონფერენცია მიჰყავდა პრესცენტრის ხელმძღვანელს ჟ. ქავჟარაძეს.

„ობილიჩის“ მწვრთნელმა აღნიშნა, რომ I ტაიმში მისი გუნდი ძალიან კარგად თამაშობდა და ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ თამაში დამთავრდებოდა ანგარიშით 3:0, მაგრამ ახალგაზრდა, გამოუცდელმა გუნდმა (საშუალო ასაკი — 19—20 წელი) მეტი ვერ შეძლო. გუნდმა აქ უკეთ ითამაშა, ვიდრე ბელგრადში. იქაც ბევრი შანსი იყო მოგების, მაგრამ არ გაუმართლათ. ჟურნალისტის შეკითხვაზე, თუ როგორ შეაფასებდა გუნდებს იუგოსლავიაში მიღებული 8-ბალიანი სისტემით იმის გათვალისწინებით, რომ ბელგრადში ორივე გუნდი ერთნაირად შეფასდა, მწვრთნელმა უპასუხა, რომ ეს სხვადასხვა მატჩები იყო. იქ სტადიონი ცარიელი იყო, აქ კი სავსე. ეს დიდი პლიუსი და დახმარება იყო ბათუმელთათვის. მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტთა შეფასებით საუკეთესო ფეხბურთელებად აღიარებული იქნენ ზოიჩი და ჯიბუტი, მწვრთნელი პროფესიული ხედვით ბათუმელთაგან მაჭუტაძეს და უჯმაჯურიძეს გამოარჩევდა, რომლებმაც ბევრი საფიქრალი გაუჩინეს სტუმრებს. კითხვაზე სამართლიანად მიაჩნია თუ არა პენალტის დანიშვნა, კომენტარში უარი განაცხადა.

„დინამოს“ პრეზიდენტმა ნ. ჯუღელი დაიმოწმა, რომელიც ესწრებოდა პირველი თამაშს ბელგრადში, რომ პრაქტიკულად ის თამაში გმირობის ტოლფასი იყო. არ შეიძლება ვთქვათ, რომ მასპინძლებმა გვაჯობეს ბელგრადში, მათ მხოლოდ სათამაშო უპირატესობა ჰქონდათ. ბათუმში 2 განსხვავებული ტაიმი იყო, პირველში გვაჯობეს, მეორეში კი ფაქტიურად ყველა ასპექტში დავჩაგრეთ მეტოქე და ჩვენი გასვლა შემდეგ ეტაპზე სამართლიანია. ორივე თამაშში ჩვენ ვაჯობეთ მეტოქეს. მიღებაშიც ვაჯობეთ, რადგან იმათ მიგვიღეს პირველად და შეგვეძლო შეგვეფასებინა. ყველანაირი უპირატესობა გვქონდა, სტუმართმოყვარეობაში. ეს არ არის სატრაბახო — ჩვენ ვალდებული ვიყავით, რადგან დღევანდელი გამარჯვება ქართული ფეხბურთის გამარჯვებაა და ჩვენ ქართველი ხალხის ინტერესებით ვმოქმედებდით. იმის მიუხედავად, თუ როგორ ვითამაშებდით, გავიდოდით შემდგომ ეტაპზე თუ არა. იყო დავალება, რომ ყველანაირად ათჯერ უკეთესად უნდა მიგვეღო. ასეთი იყო ასლან აბაშიძის თხოვნა და მგონი ეს შევასრულეთ. რაც მთავარია, ტრიბუნები იყო სავსე. მადლობა მინდა გადაგიხადოთ ყველას, მთლიანად ჩვენს გულშემატკივრებს. ალბათ ამ გუნდის ისტორიაში ეს არის მეორე შემთხვევა, რომ სტადიონი მთლიანად გაივსო. სექტემბერში იქნება მესამე შემთხვევა და ალბათ ბილეთების დეფიციტიც იქნება თხუთმეტი დღით ადრე.

„დინამოს“ მწვრთნელმა აღნიშნა, რომ დარწმუნებული იყო გამარჯვებაში იუგოსლავიელი კორესპონდენტის შეკითხვაზე, თუ როგორ აფასებს თამაშის დამთავრებამდე 8 წუთით ადრე დანიშნულ პენალტს, ვ. ჩხარტიშვილმა უპასუხა, რომ ყველაფერი ხდებოდა საჯარიმო მოედანზე და ამიტომ პენალტი 100%-იანი იყო. მე, რა თქმა უნდა, არ ვიჭრები მსაჯთა კომპეტენციის სფეროში, მაგრამ პენალტი იქ იყო უფრო ადრეც, როცა ხელით ითამაშეს. ჩემს შეკითხვაზე „გუშინწინ მ. ხურცილავას აღიარებით პესიმისტურად იყო განწყობილი მისი გუნდის მომავლისადმი და წინასწარ იცოდა, რომ წააგებდნენ. როგორია თქვენი აზრი ბათუმის „დინამოს“ მომავლის შესახებ?“ მწვრთნელმა უპასუხა, რომ ეს კენჭისყრაზეა დამოკიდებული — არ არის „დინამო“ ის გუნდი, რომ რაიმე უსაშველო იფიქროს. თუმცა მომავალს იმედით უყურებენ. „ბურთი მრგვალია, რა ვიცი...“

პრესკონფერენციას ესწრებოდა საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის პოპულარული კომენტატორი ნუგზარ ჯუღელი.

გაზეთ „საქართველოს“ კორესპონდენტი: „ბატონო ნუგზარ! მოგეხსენებათ გაზეთი „საქართველო“ პოლიტიკური გაზეთი გახლავთ, მაგრამ ამ ბოლო დროს გადავწყვიტეთ სპორტსაც დავუთმოთ ადგილი. რას იტყოდით თქვენს შთაბეჭდილებებზე დღევანდელი მატჩიდან?

ნ. ჯუღელი: „დღეს ჩემს სპორტულ-რეპორტიორის, კომენტატორის ბიოგრაფიაში მოხდა ძალიან საცნაური ამბავი. მიმყავს რეპორტაჟი, მატჩის დაწყებიდან 5 წუთის შემდეგ თბილისიდან მაწვდიან ასეთ ცნობას: ეს წუთია დამთავრდა პარლამენტის სხდომა, სადაც მიღებული იქნა კონსტიტუცია. შენ მუშაობდი II არხზე. რაკი პარლამენტმა ეს ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო, შენ მუშაობ I არხზე. და მე ვთქვი პატივცემულო ტელემაყურებლებო, ეხლა ჩვენ ჩაგვერთნენ I არხის ტელემაყურებლები. საქართველოს პარლამენტმა მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება — დაამტკიცა საქართველოს კონსტიტუცია. ძალიან გახარებული ვარ, როცა ამას ვლაპარაკობ. ეს ფრაზა დავამთავრე თუ არა და მეტოქემაც ბურთი გაგვიტანა. ასე რომ, პოლიტიკით კმაყოფილი ვიყავი რეპორტაჟის დასაწყისში, სპორტით კი გულნატკენი. ასეა ცხოვრებაში — ხან პოლიტიკით ხარობ, ხან სპორტით. ჩემი სურვილი იქნებოდა — ქართველ კაცს სპორტითაც გაეხაროს და პოლიტიკითაც.

## ბოლოთქმა

1. გუშინ აჭარის ტელევიზიით გადაცემულ ინტერვიუში ბატონმა ვალერიან ჩხარტიშვილმა აღნიშნა, რომ სრულყოფილი ინფორმაცია გლაზგოს „სელტიკის“ შესახებ, რომელიც წილისყრამ ბათუმელებს არგუნა, არ აქვთ: იციან მხოლოდ, რომ ბოლო გათამაშებაში IV ადგილი დაიკავა, 18 მატჩი ფრედ დაამთავრა და 36 გატანილ ბურთზე 33 მიიღო (საგულისხმოა — ე.ი. ფრეს შეიძლება მიაღწიოს გასვლით მატჩში — ა.ბ.). 3 ფეხბურთელი შოტლანდიის ნაკრებში ჰყავს წარგზავნილი და ერთიც ვგონებ ალბანეთისაში. ბრიტანეთი ფეხბურთის სკოლაა და კენჭისყრის შედეგები მეტ მობილიზაციას მოითხოვს. განწყობა ბიჭებში კარგია, ეს გუნდი მომავალ მეტოქედ ადვილად მიიღეს. „ბურთი მრგვალია, რა ვიცი...“

2. ამას წინათ აჭარის ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში ბატონმა ასლან აბაშიძემ ხაზი გაუსვა, რომ სტადიონის რეკონსტრუქციის სახსრები აჭარის ხელისუფლებას არ გააჩნდა. ფული ისესხეს, ჩასესხებას კი აპირებენ იმ შემოსავლიდან, რასაც მოიტანს 100000 ტონა ჯართის გაყიდვა. ამ ოპერაციაზე ლიცენზია საქართველოს მთავრობამ პირადად ბატონ ოთარ ფაცაციას შუამდგომლობით გასცა. რა თქმა უნდა, რთულია ამდენი ჯართის შეგროვება, მაგრამ სხვა გზა არ იყოო.

3. აფხაზეთიდან ქ. ბათუმში ლტოლვილმა ბიძინა მებონიამ წინადადებით მიმართა გაზეთ „აჭარის“ რედაქციას, რათა აღიძრას შუამდგომლობა „დინამოს“ სტადიონისათვის დიდი მამულიშვილის მემედ აბაშიძის სახელის მისანიჭებლად. მრავალრიცხოვან გამოხმაურებაში მოქალაქეები იწონებდნენ ამ აზრს და თხოვდნენ ბატონ ასლან აბაშიძეს, არ შეეშალა ხელი თავმდაბლობის გამო მისი ბაბუის სახელის უკვდავყოფისათვის. ადგილობრივმა ჟურნალისტმა მიხეილ მშვიდობაძემ კი მოითხოვა, რომ მემედ აბაშიძის სახელი ეწოდოს არა მარტო სტადიონს, არამედ ჩოგბურთის კორტებსაც და ერთობლიობაში — მთელ ზღვისპირა პარკს. ასე განსაჯეთ ამ აზრსაც ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა.

ავთანდილ ბერიძე
24-26 აგვისტო, 1995 წ.
ქ. ბათუმი

# ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერნი

## აკაკი ბაქრაძე, მუხრან მაჭავარიანი და ნოდარ ნათაძე, მივმართავთ ქართველ ხალხს და საქართველოს მოქალაქეებს

ვითვალისწინებთ რა, რომ დღეს დამარცხებულსა და ეკონომიურად დაცემულ საქართველოს სახელმწიფოებრივი დაშლისა და ეროვნული გადაშენების უშუალო საფრთხე ემუქრება;

— რომ მასობრივი შიმშილი, ყოველმხრივი სიდუხჭირე და უპერსპექტივობა საქართველოს რიგით მოქალაქეს უკლავს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის სურვილსა და განწყობას, რის შედეგადაც ქვეყანა დამნაშავე ელემენტების,კორუმპირებული მოხელეებისა და საქართველოს ბედისადმი გულგრილი პროკომუნისტური პოლიტიკოსების სათარეშოდაა გამხდარი.

— რომ ჩვენი ქვეყნის გადარჩენის აუცილებელი პირობაა ერში არსებული ჯანსაღი ძალების, ანუ ზოგადსახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობის შეგნებით აღჭურვილი ადამიანების ერთიანობა მათ საჯარო სიტყვასა და პრაქტიკულ მოქმედებაში.

ამოცანად ვისახავთ ქართველი ერისა და საქართველოს ყველა პატიოსანი მოქალაქის ძალისხმევის გაერთიანებას დღევანდელი მდგომარეობიდან ჩვენი ქვეყნის გამოსაყვანად, მისი სახელმწიფოებრიობის განსამტკიცებლად, მასში სამართლიანი დემოკრატიული საზოგადოების ასაშენებლად, მისი იურიდიული და ფაქტობრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად.

ჩვენ გულწრფელად მხარს ვუჭერთ და ჩვენს მოკავშირედ ვთვლით ყველა იმ მოქალაქეს და ყველა იმ საზოგადოებრივსა თუ პოლიტიკურ ორგანიზაციას, ვისაც იგივე მიზანი ამოძრავებს. ჩვენ უშუალოდ ვითანამშრომლებთ ყველა იმ პირებთან და საზოგადოებრივსა თუ პოლიტიკურ ორგანიზაციებთან, ვისაც ამოძრავებს ზემოხსენებული მაღალი მიზანი, ვინც მთელი არსებით გმობს საქართველოს კანონიერი ხელისუფლების იარაღით დამხობის ფაქტს 1991-1992 წლების მიჯნაზე და ვისაც ძმათა სისხლისმღვრელი ომი საქართველოს მიწა-წყალზე 1991-1994 წლებში ჩვენი ქვეყნის ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე სავალალო ფურცლად მიაჩნია. ჩვენს გვერდით დგას ის, ვინც მზად არის იბრძოლოს საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და დამოუკიდებლობისათვის შემდეგი სტრატეგიული პრინციპებიდან გამომდინარე:

1. საქართველო უნდა იყოს იურიდიულად და ფაქტობრივად სავსებით დამოუკიდებელი ქვეყანა, — დამოუკიდებელი, ანუ მხოლოდ საკუთარ ინტერესებზე ორიენტირებული საგარეო და საშინაო პოლიტიკის გამტარებელი.

2. საქართველო დაუყოვნებლივ უნდა გამოვიდეს განახლებული საბჭოთა იმპერიიდან— „ეს ენ გე"-დან.

3. საქართველოში არ უნდა იყოს რუსეთის სამხედრო ბაზები და არ უნდა იდგეს რუსეთის შეიარაღებული ძალები.

4. საქართველოს სამხარეო მოწყობის გეგმა, ანუ საქართველოს ფედერალიზაციის გეგმა,რომელიც შემოთავაზებულია მმართველი გუნდის მიერ, საქართველოს სახელმწიფოსა და ქართველი ერის მთლიანობის ხელყოფაა და იგი კატეგორიულად უკუგდებულ უნდა იქნას.

5. საქართველოში სახელმწიფო წყობა უნდა იყოს იმგვარი — და მხოლოდ იმგვარი, — როგორიც შეესაბამება თანამედროვე დემოკრატიული ქვეყნების გამოცდილებას და ქართველი ერის კულტურულ ტრადიციას.

6. საქართველოში კატეგორიულად უნდა აღიკვეთოს ადამიანის საერთაშორისოდ აღიარებულ უფლებათა შელახვა სამართალდამცავი ორგანოების მიერ.

7. საქართველოში არსებული ყველა ეროვნული ჯგუფის უფლება, რომ შეინარჩუნოს და დაიცვას თავისი ეროვნული სახე, გარანტირებული და დაცული უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ის კურსი, რომელიც ტარდება დღეს, საქართველოსთვის დამღუპველია. მისი გაგრძელება გამოუსწორებელ ზიანს მოუტანს ჩვენს ქვეყანას სახელმწიფოებრიობის შემდგომი მოშლის,ტერიტორიების დაკარგვის, სამართლებრივი განუკითხაობის, შიმშილის, დესტაბილიზაციის და მასობრივი ემიგრაციის სახით. ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ საქართველოზე მტრის შემოტევა, შინაგანი აგენტურის გამოყენების ჩათვლით, გრძელდება.ამიტომ ჩვენ მიგვაჩნია, რომ საქართველო დღეს თავისი ისტორიის ერთ-ერთი უმძიმესი განსაცდელის წინაშე იმყოფება. მაგრამ ამავე დროს მიგვაჩნია და გვწამს, რომ უახლოესი წლები მობრუნების ეპოქა იქნება მონობას მიჩვეული ჩვენი ქვეყნის გამოსვლისათვის ამ მდგომარეობიდან და მისი გადაქცევისათვის თავისუფალ, ძლიერ და კეთილდღეობიან ქვეყნად. ჩვენ ვთვლით, რომ საქართველოსთვის ამ ისტორიული ნაბიჯის გადადგმა — ჩვენი ქვეყნის საბოლოო და სამარადისო დაყენება თავისუფლებისა და ბედნიერების გზაზე — ჩვენი ერის დღეს მაცხოვრებელ თაობათა ტვირთი და ვალია, რომელიც მომავალ თაობებს არ უნდა გადავაკისროთ. ჩვენ მიგვაჩნია აგრეთვე, რომ ქართველი ერის ყველა დღევანდელი და მომავალი გამარჯვების საფუძველია ეროვნული ერთობა — ყველა ეროვნულ ძალთა შეკავშირება, რათა სამარცხვინო დაღუპვისა და ისტორიის ასპარეზიდან გაქრობის ნაცვლად ჩვენ ერს სახელოვანი სიცოცხლე მოვუტანოთ.

ძვირფასო თანამემამულენო! მოგიწოდებთ:

1. ნუ მივეცემით სასოწარკვეთას! ნუ გვეგონება,რომ რესტავრირებული იმპერიული კომუნიზმი, რომელიც დღეს საქართველოში ბატონობს, სამარადისო ან ხანგრძლივი მოვლენაა! გვახსოვდეს: ჩვენი ქვეყნის დროებითი დამარცხება მხოლოდ ჩვენი ბრალია, ჩვენი პოლიტიკური და ორგანიზაციული მოუმწიფებლობის შედეგია და არა ისტორიის განაჩენი!

2. გავუფრთხილდეთ ეროვნულ ერთიანობას, რადგან მის გარეშე არ არსებობს ჩვენი არც გამარჯვება, არც გადარჩენა.




## აშშ-ის ახალი ელჩი საქართველოში

**1 აგვისტოს** აშშ-ის ახალმა ელჩმა საქართველოში უილიამ კორტნმა სიტყვა წარმოთქვა აშშ-ის სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტში. უილიამ კორტნმა საქართველოში ელჩად წარდგენასთან დაკავშირებით წარმოთქმულ სიტყვაში აღნიშნა:

**საქართველოს ხელისუფლებამ ცეცხლის შეწყვეტისა და ლტოლვილების საკუთარ სახლკარში დაბრუნების სანაცვლოდ აფხაზებს ფართო უფლებამოსილების მქონე ავტონომია შესთავაზა, მაგრამ მხარეები ჯერ კიდევ შორს არიან გადაწყვეტილების მიღებიდან. დსთ-ს სამშვიდობო ძალებმა, გაეროს მეთვალყურეთა მისიამ დიდი როლი ითამაშა გასული წლის განმავლობაში კონფლიქტის მოგვარების საქმეში. მიუხედავად ამისა, ადამიანის უფლებათა დარღვევასა და ბანდიტურ გამოხდომებს მაინც აქვს ადგილი.**

**250 ათასი ქართველი, რუსი, სომეხი და ებრაელი იძულებული შეიქნა დაეტოვებინა მშობლიური მიწა-წყალი. გაერო მოითხოვს, რომ ლტოლვილებს მიეცეთ შინ დაბრუნების შესაძლებლობა უსაფრთხოების გარანტიების დაცვით. ლტოლვილთა საკითხებში გაეროს ოფიციალური წარმომადგენელი აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს ორივე მხარესთან. მაგრამ აფხაზებს არ სურთ თანამშრომლობა. ელჩმა დასძინა, აშშ-სა და საქართველოს შორის თანამშრომლობა სამხედრო სფეროში ხელს შეუწყობს საქართველოს უსაფრთხოების განმტკიცებას. ამ დღეებში საქართველოში ჩავა პირველი ამერიკული სამხედრო გემი. საქართველო აქტიურად ჩაება პროგრამაში „პარტნიორობა მშვიდობისათვის". მეტად მნიშვნელოვანი იყო მაისის თვეში გენერალ შალიკაშვილის ვიზიტი ისტორიულ სამშობლოში. ყოველივე ამის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ აშშ-სა და საქართველოს თანამშრომლობა სამხედრო სფეროში აქტიურად ვითარდება.**

ამავე სიტყვიდან ვგებულობთ მცირე ინფორმაციას ახალი ელჩის წარსული მოღვაწეობის შესახებ:

**ბოლო თექვსმეტი წელიწადი ყოფილ საბჭოთა კავშირთან აშშ-ის ურთიერთობის საქმეს დავუთმე. აქედან 5 წელიწადი ვიმსახურე აშშ-ის საელჩოებში მოსკოვსა და ალმა-ათაში, 4 წელიწადი კი აქტიურად ვმონაწილეობდი მოლაპარაკებებში ბირთვული იარაღის საკითხებზე ჟენევაში, ვაშინგტონსა და მოსკოვში. ეს გამოცდილება — განსაკუთრებით უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში მრავალეროვან ყაზახეთში ელჩად მუშაობის დროს შეძენილი, დიდად დამეხმარება იმ შემთხვევაში, თუ დამამტკიცებენ საქართველოში აშშ-ის ელჩად.**



# ჯ. ბარონი — სუკ-ი

## საბჭოთა საიდუმლო აგენტების მუშაობა

გაგრძელება, დასაწყისი №25,26,27

მე-10 მიმართულება ეწევა „ეკონომიკური დამნაშავეების" დაჭერას. ესენი არიან: უცხოური ვალუტის გადამყიდველები, შავ ბაზარზე გარიგებებში მონაწილე და კერძო მეწარმოებით დასაქმებული ადამიანები.

მე-11 მიმართულება ბეჭდავს საიდუმლო მითითებებს და ჟურნალებს უშიშროების პოლიტიკური სამსახურისათვის, სადაც აკეთებს მოხსენებებს სხვადასხვა თემაზე, მათ შორის დაუკმაყოფილებლობისა და უკმაყოფილების პრობლემების შესახებ.

მე-12 მიმართულება იწვევს გარკვეულ ცნობისმოყვარეობას. იგი შეიქმნა 1963 წელს იმ მიზნით, რომ ჩაეშალათ ჩინელი დიპლომატების საქმიანობა და შეეღწიათ მოსკოვში ჩინეთის საელჩოში. საზღვარგარეთის სხვა საელჩოების წინააღმდეგ მიმართული ოპერაციები სრულდება მეორე მთავარი სამმართველოს ნომრიანი განყოფილებების მეშვეობით. მაგრამ რუსების შიში ჩინური პროპაგანდის შედეგებისა და საბჭოთა ხალხის წინააღმდეგ ძირგამომთხრელი საქმიანობის წინაშე იმდენად დიდი იყო, რომ რუსებმა ჩინელების საკითხი დაავალეს უშიშროების პოლიტიკურ სამსახურს, რომელიც ადრე მხოლოდ შინაურ პოლიტიკურ საქმეებზე იყო პასუხისმგებელი.

მეორე მთავარი სამმართველოს ტექნიკური დახმარების ჯგუფი ფაქტობრივად დასაქმებულია პროფესიული გატეხვით. ჯგუფში არის ოცამდე გატეხის სპეციალისტი (Взломизик — რედ.), რომლებსაც შესწავლილი აქვთ, აგრეთვე, სეიფის გახსნის ტექნიკა, ყველანაირი საზეინკლო ოპერაცია, ფოტოგრაფირება, დოკუმენტების გახსნა და დაწებება. ისინი ეხმარებიან ნომრიან განყოფილებებს საზღვარგარეთის საელჩოებში, დაწესებულებებსა და კერძო ბინებში შეღწევის საქმეში.

სამრეწველო უშიშროების სამმართველო თვალყურს ადევნებს მეტისმეტად აუცილებელი პროდუქციის მწარმოებელ სამრეწველო საწარმოებს. აგრეთვე, კვლევით ცენტრებს; თვალთვალი ხორციელდება ცნობების მიმწოდებელთა საკუთარი ქსელის საშუალებით. თავისი საიდუმლო მიზნებისათვის სამმართველო იყენებს, აგრეთვე, საბჭოთა კავშირის სავაჭრო ურთიერთობებს სხვა ქვეყნებთან. სამმართველოში ექვსი განყოფილებაა. პირველი ოთხი ემსახურება მძიმე მრეწველობას, სამხედრო ქარხნებს და კვლევებისა და წარმოების ცენტრებს ბირთვული ენერგიის სფეროში. მეხუთე განყოფილების თანამშრომლები, რომლებითაც გადავსებულია საგარეო ვაჭრობის სამინისტრო, ხელმძღვანელობენ საბჭოთა სამრეწველო გამოფენებს საზღვარგარეთ, უწევენ „მფარველობას" სსრკ-ში უცხოეთის გამოფენებს, მუშაობენ ჩამოსულ უცხოელ ბიზნესმენებს შორის პოლიტიკური აგენტების ამოცნობაზე, ხელმძღვანელობენ ყველა საბჭოთა სავაჭრო ორგანიზაციას, როგორც, მაგალითად, სავაჭრო პალატა. მე-6 განყოფილება ცდილობს გადაიბიროს უცხოელი მეზღვაურები, რომლებიც უფლებამოსილები არიან ჩავიდნენ ნაპირზე საბჭოთა პორტებში.

1969 წელს აშკარა უკმაყოფილების გამოვლინებებით შეშფოთებულმა სსრკ პოლიტბიურომ შექმნა მეხუთე მთავარი სამართველო, რათა მოესპო ყოველგვარი პოლიტიკური უთანხმოება და გაეძლიერებინა კონტროლი მთელს მოსახლეობაზე. პოლიტიკური მიზნებისათვის ფსიქიატრიის დამახინჯებული გამოყენება და გაძლიერებული რეპრესიები, რომელთა შესახებ 1969 წელს დაიწყო ხმების გავრცელება, წარმოადგენს ამ ახალი სამმართველოს დამსახურებას. სუკ-ი სრულად დააბნია იმან, რომ მეხუთე სამმართველოს ლონე არ შესწევდა მიეკლია იატაკქვეშა გამოცემის — „მიმდინარე ამბების ქრონიკის" ყველა ორგანიზატორისათვის, რომელთა მართალი რეპორტაჟები კრემლს აშმაგებდა. 1972 წლის ბოლოსათვის სამმართველომ მაინც გაავრცელა სია ცნობილი საბჭოთა ინტელიგენტებისა და გააფრთხილა, რომ „ქრონიკის" კიდევ ერთი გამოცემის გამოჩენის შემთხვევაში, ყველა ეს ხალხი დაპატიმრებული იქნებოდა, მიუხედავად მათი დამნაშავეობისა. „ქრონიკის" ორგანიზატორებმა, უფრო დასახელებული ინტელიგენტების მიმართ თანაგრძნობის გამო, ვიდრე საკუთარი თავის მიმართ შიშით, შეაჩერეს პუბლიკაციები.

მეხუთე მთავარი სამმართველოს ოპერატიული განყოფილებების დიდი ნაწილი ადრე მეორე მთავარი სამმართველოს ნაწილი იყო. გარდა ამისა, აქ შედიან: საბჭოთა სტუდენტებით დასაქმებული ყოფილი მე-9 განყოფილების ნაწილი; საბჭოთა ინტელიგენციის წინააღმდეგ მოქმედებებში სპეციალიზირებული ყოფილი მე-10 განყოფილების სექციები; აგრეთვე, განსაკუთრებული ებრაული განყოფილება. მეხუთე მთავარ სამმართველოში შევიდნენ დამატებით უსაფრთხოების პოლიტიკური სამსახურის მე-5, მე-6, მე-7, მე-8 და მე-9 მიმართულებები.

მე-5 მიმართულება ფარულად აკონტროლებს რელიგიას საბჭოთა კავშირში. იგი ცდილობს გამოარკვიოს, მოსახლეობიდან ვინაა მორწმუნე, და გააკეთოს ყველაფერი იმისათვის, რომ რუსული ორთოდოქსალური ეკლესია სხვა რელიგიებთან ერთად გამოყენებულ იქნას საბჭოთა პოლიტიკის იარაღად. სუკ-ის თანამშრომლები ამ მიმართულებიდან იმყოფებიან საეკლესიო იერარქიაში; ამასთან მიმართულება ახდენს ეკლესიის ნამდვილი მსახურების გადაბირებას აგენტებად. მისი მუშაობის დიდი ნაწილი ხორციელდება რელიგიის საქმეების საბჭოს მეშვეობით. ოფიციალურად რელიგიური საქმეებით დასაქმებული ეს საბჭო დაკომპლექტებულია სუკ-ის პენსიაზე გასული ან ნაწილობრივ არაშრომისუნარიანი თანამშრომლებით.

მე-6 მიმართულებას აწევს მძიმე და სარისკო ამოცანა ნაციონალიზმის ჩახშობისა 100-ზე მეტ ეთნიკურ უმცირესობას შორის, რომლებიც საბჭოთა მოსახლეობის ნახევარს შეადგენს. ბოლო წლებში სუკ-მა მე-6 მიმართულების მეშვეობით განსაკუთრებით ინტენსიური რეპრესიები გამოიყენა ნაციონალური უმცირესობების წინააღმდეგ, განსაკუთრებით კი — თათრებისა და უკრაინელების წინააღმდეგ.

მე-7 მიმართულება ეწევა მეთვალყურეობას როგორც საბჭოთა მოქალაქეებზე, რომელთაც საზღვარგარეთ ჰყავთ ნათესავები, თუნდაც ძალიან შორეული, ასევე უცხოელებზე, რომლებიც ჩამოდიან საბჭოთა კავშირში ნათესავების მოსანახულებლად.

მე-8 მიმართულების ამოცანაა გაანეიტრალოს ყოველგვარი გავლენა რუსი ემიგრანტების მიერ შემოგზავნილი ლიტერატურის და აგენტების მხრიდან.

მე-9 მიმართულება წარმოადგენს აზროვნების თავისებურ მაკონტროლებელ განყოფილებას სუკ-ში. იგი კონფისკაციას უკეთებს აკრძალულ ლიტერატურას, დევნის ერეტიკოს მწერლებს და მუშაობს ანონიმური წიგნების, ფურცლების, წერილების, პლაკატების და ლოზუნგების ავტორების კვალის მიკვლევაზე. იგი ეძებს გადამალულ საბეჭდ წნეხებს, ცდილობს აღმოაჩინოს საბეჭდი მანქანები, რომლებსაც „თვითგამოცემა" იყენებს და იძიებს ფოტოასლების გადამღები ტექნიკის „ბოროტად გამოყენების" შემთხვევებს. სკ კომუნისტური პარტია ამ მანქანებს იმდენად სახიფათოდ თვლის, რომ ჩაკეტილში აქვთ ისინი, ზოგჯერ ოთახებს შეიარაღებულ დაცვასაც კი უყენებს. ფოტოასლისთვის მანქანის გამოყენება ნებადართულია მხოლოდ ოფიციალურად დანიშნული მეთვალყურის თანდასწრებით.

1971 წელს საბჭოთა კავშირის ებრაელობის დაშინების მიზნით, საჯარო პროტესტების და ემიგრირების მცდელობის აღსაკვეთად შეიქმნა განსაკუთრებული განყოფილება — ებრაული განყოფილება. ეს განყოფილება შედარებით ახალია. ამიტომ შემოწმებული ინფორმაცია მასზე და მისი მოღვაწეობის შესახებ არ არის სრული. ამ განყოფილების თავდაპირველი მიზანი იყო გადაებირებინათ დიდი რაოდენობით ებრაული ეროვნების წარმომადგენლები ცნობების მიმწოდებლებად და ეთვალთვალათ ცალკეულ დისიდენტებზე. განყოფილების წარმომადგენლებს შეიძლება შეხვდეთ იმ რაიონებში, სადაც არის რიცხობრივად დიდი ებრაული თემები. განყოფილების შექმნის მომენტიდან დაწყებული სულ უფრო მეტ და მეტ ებრაელ დისიდენტს ან ეჭვმიტანილ ებრაელს ათავისუფლებდნენ სამუშაოდან, იწვევდნენ არმიაში მოულოდნელად და აპატიმრებდნენ შეთხზული სისხლის სამართლის ბრალდებით. მაშინ, როცა საბჭოთა კავშირი აცხადებს საემიგრაციო გადასახადების შემცირების შესახებ და სსრკ-დან გასვლის შემსუბუქების შესახებ, მოქალაქენი, რომლებიც განაცხადებდნენ ისრაელში ემიგრირების სურვილს, სუკ-ის მხრიდან განიცდიან შევიწროებას და არც თუ იშვიათად აპატიმრებენ კიდეც.

### სასაზღვრო ჯარების მთავარი სამმართველო

### (უნომრო)

სასაზღვრო ჯარების სამმართველოში შედის არმიისა და ფლოტის რჩეული ნაწილი — სუკ-ის დაახლოებით 300000 თანამშრომელი. ეს ჯარები შეიარაღებულია ყველაზე თანამედროვე იარაღით, არტილერიისა და ჯავშანსატანკო ძალების ჩათვლით; მათი ხომალდები ხშირად საბჭოთა ტერიტორიალური წყლების საზღვრებიდან შორს იმყოფება.

ლენინის მიერ 1918 წელს შექმნილი სამმართველო ყოველთვის ცდილობდა ჩაემწყვდია საბჭოთა მოსახლეობა სსრკ-ს საზღვრებში. იგი იცავს და ბადრაგობს სასაზღვრო ძაღლების, სათვალთვალო კოშკების, ელექტრონული სენსორების და დაუსახლებელი სასაზღვრო მიწების გამოყენებით. 1972 წელს საბჭოთა ახალგაზრდული ჟურნალის „ЮНОСТЬ"-ის კორესპონდენტმა აღწერა, როგორ ასწავლიან მესაზღვრეებს გაქცევის მსურველთა დაჭერას საზღვარზე. „სტადიონზე, — წერდა იგი — აღნიშნული იყო „საზღვარი", სპეციალურ ბამბის კოსტუმში გამოწყობილი „ბოროტმოქმედი" გაემართა მისკენ. მოშორებით გამოყოფილ ადგილზე მყოფ მაყურებლებს სუნთქვა შეეკრათ. გაისმა მოკლე ბრძანება, და ძაღლები ეცნენ „მტერს". იგი შეეცადა გაქცეულიყო, მაგრამ ძაღლებმა წააქციეს იგი. საერთო აპლოდისმენტები".

სასაზღვრო ჯარების სამმართველოს თანამშრომლები მსახურობდნენ მრჩევლებად ჰანოიში ვიეტნამის ომის დროს. სამმართველოს რაზმებმა, რომლებსაც გამოარჩევდა მწვანე არშია სამხედრო ფორმაზე, თავის თავზე მიიღეს ჩინელების დარტყმა ჩინეთ-საბჭოთა კავშირის საზღვარზე.

### შეიარაღებული ძალების სამმართველო (მესამე სამმართველო)

ამ მნიშვნელოვანი სამმართველოს ორგანიზაცია და ფუნქციები აღწერილი იყო პირველ თავში.

### ტექნიკური ოპერაციების სამმართველო

### (უნომრო)

ეს სამმართველო შეიმუშავებს და აწარმოებს სუკ-ის ოპერაციებში გამოყენებული ტექნიკური მოწყობილობის დიდ ნაწილს, გარდა კავშირგაბმულობის დანადგარებისა. მისი მეცნიერები და ლაბორატორიები, უდავოდ, პირველ ადგილზე არიან მსოფლიოში ადამიანის წყობიდან გამომყვანი ქიმიური პრეპარატების აღმოჩენით; შხამებით, რომელთაც არა აქვთ შხამსაწინააღმდეგო საშუალებები; ყოველგვარი ინსტრუმენტებით, რომელთა გამოყენებით მკვლელობისას სიკვდილის მიზეზი ბუნებრივი ჩანს. ტექნიკური ოპერაციების სამმართველოს ლაბორატორიებში იქნა დამზადებული იპრიტის ეგზოტიკური ნიმუში, რომლისგანაც დიდი ტანჯვა განიცადა გერმანელმა ტექნიკოსმა ჰორსტ შკირკმანმა.

სამმართველოს თანამშრომლები დროდადრო იგზავნებიან საზღვარგარეთ, რათა ტექნიკური დახმარება აღმოუჩინონ რეზიდენტებს. იგივე თანამშრომლები სინჯავენ საბჭოთა ფოსტას და ამზადებენ ყალბ დოკუმენტებს საიდუმლო ოპერაციებისათვის თვით საბჭოთა კავშირში.

### ადმინისტრაციული სამმართველო

### (უნომრო)

ამ სამმართველოს მოვალეობაში შედის სუკ-ის მეურნეობისადმი თვალყურის დევნება. მისი ფუნქციები ძალიან ფართოა: კაბინეტების მოწყობიდან დაწყებული ქვეყნის შიგნით შესასრულებელი ოპერაციების აღჭურვით დამთავრებული. იგი უკეთებს ორგანიზებას სუკ-ის თანამშრომელთა მოვლენებს, განაგებს მაღაზიებს, კურორტებს და ბინების კომპლექსებს. მას არ ეხება ოპერაციების ფინანსირება.

### კადრების სამმართველო

### (უნომრო)

კადრების სამმართველო წარმოადგენს სუკ-ის ცენტრალურ ნერვულ კვანძს, რის გამოც პარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული განყოფილების მკაცრი კონტროლის ქვეშ იმყოფება. ახალი თანამშრომლების გადაბირებით და გადაყვანით განყოფილებიდან განყოფილებაში, სამმართველო ცდილობს დააკმაყოფილოს სუკ-ის ყველა მოთხოვნა ადამიანთა რესურსებში. სამმართველოს მოწონების გარეშე შეუძლებელია სამუშაოდ მიღებულ იქნას ერთი კაციც კი, გადაწყდეს, თანამშრომლებიდან ვინ წავიდეს საზღვარგარეთ, ვინ დააწინაურონ. იგი განაგებს აგრეთვე, სუკ-ის სკოლების სასწავლო გეგმების შედგენას. ინდივიდუალური სპეციალიზირებული კურსების გამოკლებით, რომლებსაც ორგანიზებას უკეთებს არალეგალური აგენტების სამმართველო და ოპერატიული განყოფილება.

ახალგაზრდების გადაბირებისას მომავალ თანამშრომლებად სამმართველო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იდეოლოგიურ რეკომენდაციებს, და შეგნებულად ან შეუგნებლად, წარმოშობასაც. ხშირ შემთხვევაში სუკ-ი გადაიბირებს ბავშვებს ახალი კლასიდან, და არა მუშათა და კოლმეურნეთა ოჯახებიდან. გადაბირებულების დიდი ნაწილი სუკ-ის თანამშრომელთა მეგობრების ბავშვები არიან. სუკ-ის თანამშრომლის ნათესავს ყოველთვის უზრუნველყოფილი აქვს მიღება სუკ-ში სამუშაოდ, თუ მას რაიმე აშკარად გამოხატული ნაკლი არა აქვს. იშვიათად იღებენ შუამდგომლობის გარეშე მთხოვნელს: ზოგჯერ ცნობების მიმწოდებლებად მომსახურე საბჭოთა მოქალაქეებს დაბალი კლასებიდანაც ნება ეძლევათ გახდნენ სუკ-ის ოფიცრები.

### ოპერატიული სამმართველო

### (მეშვიდე სამმართველო)

სუკ-ის ყველა თანამშრომელსა და აგენტს ასწავლიან თვალთვალის თეორიას: როგორ კეთდება ეს, როგორ შეიიშნა იგი და როგორ აიცილონ თავიდან. ეს არის მათი ძირითადი სწავლების ნაწილი. გარდა ინსტრუქტორებისა, გამომძიებლებისა, ექსპერტებისა და ტექნიკოსებისა, სამმართველოში სამსახურში იმყოფება დაახლოებით 3500 კაცი და ქალი, რომელთა სამუდამო პროფესია ადამიანების თვალთვალია.

სამმართველო სრულიად არალოგიკურად გაყოფილია თორმეტ განყოფილებად. პირველი განყოფილება უთვალთვალებს შეერთებული შტატების და ლათინური ამერიკის მოქალაქეებს, მე-2 განყოფილება ადრე უთვალთვალებდა დიდი ბრიტანეთის ქვეშევრდომებს, ახლა კი — რჩეულ უცხოელ ჟურნალისტებს, სტუდენტებს და კომერსანტებს. მე-3 და მე-4 განყოფილებები ერთმანეთს შორის იყოფენ თვალყურის დევნებას არაამერიკელებზე. მე-5 განყოფილება განაგებს ყარაულ-მილიციონერებს, რომლებსაც მიჩენილი აქვთ ადგილი ყველა უცხოეთის ქვეყნის საელჩოსთან, რათა აცილებულ იქნას მონახულებები საბჭოთა მოქალაქეთა მხრიდან. მე-6 განყოფილება დაჰკითხავს იმ საბჭოთა მოქალაქეებს, რომელთა მიღებას სამუშაოზე სუკი აპირებს. ეს განყოფილება შეიმუშავებს და თვალყურს ადევნებს სათვალთვალო ხელსაწყოების გამართულობას, დაწყებული ინფრაწითელი ფოტოაპარატებიანი მანქანებით და დამთავრებული სატელევიზიო კინოკამერებით და ორმაგი სარკეებით. მე-9 განყოფილების თანამშრომლები პატრულირებას უკეთებენ იმ ქუჩებს, რომლითაც პარტიისა და მთავრობის წევრები დადიან სამსახურში და ბრუნდებიან უკან.

ყველაზე დიდი, მე-10 განყოფილება თვალყურს ადევნებს იმ ობიექტებს მოსკოვში, რომელთაც მოინახულებენ როგორც უცხოელები, ისე გამოჩენილი საბჭოთა მოქალაქენი. განყოფილებაში მსახურობს 400-მდე შტატიანი თანამშრომელი და ჯაშუშების დიდი გუნდი, რომლებიც მუშაობენ არასრული სამუშაო დღე და უმეტესად არიან სუკ-ის პენსიაზე წასული თანამშრომლები. მათ მოვალეობას შეადგენს პარკების, მუზეუმების, თეატრების, მაღაზიების, საპარიკმახეროების, სტადიონების, აეროპორტების და სარკინიგზო სადგურების თვალთვალი. მე-10 განყოფილებას აქვს განსაკუთრებული ტაქსოპარკი და ინტურისტის ფარეხი, რაც საშუალებას აძლევს სუკ-ს თვალყური ადევნოს ნებისმიერ ადამიანს, რომელმაც გამოიძახა ტაქსი ან დაიქირავა მანქანა. განყოფილების მოვალეობაში შედის, აგრეთვე, შანტაჟისათვის გამოსადეგი ცნობების შეგროვება, რომლებსაც სასტუმროებში განთავსებული თანამშრომლები მოიპოვებენ. სუკ-ის თანამშრომლები იმისათვის იყენებენ ფოტოგრაფიულ და ელექტრონულ მოწყობილობას. მე-11 განყოფილება შეიმუშავებს და მოიპოვებს სანილბავ კოსტუმებს, პარიკებს, ულვაშებს, ტანსაცმელს და თვალთვალის დროს გამოსაყენებელ სხვა ნივთებს. მე-12 განყოფილების სამსახურში იმყოფება ერთი დუჟინი ექსპერტები, რამდენიმე სწრაფად მოძრავი, სათვალთვალოდ შექმნილი ჯგუფი, რომლებიც მონაწილეობენ მხოლოდ განსაკუთრებით ფაქიზ ოპერაციებში, როგორიცაა, მაგალითად, უცხოელი მაღალი რანგის ჩინოსანის შეტყუება მახეში ან ოლიგარქიის მაღალი თანამდებობის წევრის თვალთვალი.

გაგრძელება მე-6 გვ.

# ჯ. ბარონი — სუკ-ი

მეხუთე გვერდიდან

## კავშირგაბმულობის სამმართველო (მერვე სამმართველო)

ეს სამმართველო ცდილობს ფარულად მოისმინოს და გაშიფროს საზღვარგარეთის ქვეყნების ცნობები. ამისათვის იგი იყენებს ელექტრონული დანადგარით „ტრაულერი“ აღჭურვილ კოსმოსურ თანამგზავრებს ან ანტენების ხარაჩოებს, რომლებიც ამოზრდილია საბჭოთა საელჩოების სახურავებზე მთელს მსოფლიოში.ამ სამმართველოს სპეციალისტებმა გამოიყენეს დანადგარები და დოკუმენტები,რომლებიც 1968 წელს ჩრდილოეთ კორეელებმა მიიტაცეს გემიდან „პუებლო“. უცხოეთის ქვეყნების მოხსენებების ხელში ჩაგდების გარდა,სამმართველო ამზადებს შიფრებს, რომლებითაც სარგებლობს სუკ-ის ყველა განყოფილება, უგზავნის ეთერის საშუალებით ცნობებს საზღვარგარეთ მყოფ სუკის თანამშრომლებს და მუშაობს საბჭოთა კავშირგაბმულობის საშუალებების განვითარებაზე.

## დაცვის სამმართველო (მეცხრე სამმართველო)

ყველაზე მკაცრად და გულდასმით მოწმდებიან ამ სამმართველოს თანამშრომლები. ეს არიან ადამიანები საბჭოთა კავშირში, რომელთაც უფლება აქვთ თან იქონიონ იარაღი პარტიის ხელმძღვანელ პირებთან გვერდში ყოფნისას, და ეს უკანასკნელნი თავის სიცოცხლეს რომ ანდობენ, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ამ სამმართველოს თანამშრომლებს იყენებენ პარტიის ხელმძღვანელი პირებისა და მათი ოჯახების მცველებად, როგორც მოსკოვში, ისე პერიფერიაში; ისინი იცავენ, აგრეთვე,კრემლს და ყველა მნიშვნელოვან სამთავრობო დაწესებულებას მთელს ქვეყანაში.

სამმართველო მუშაობის ეფექტურობის დამამტკიცებლად ის ფაქტი გამოდგება, რომ დაწყებული 1918 წლიდან, როცა მოხდა თავდასხმა ლენინზე,არ ყოფილა თავდასხმის არც ერთი შემთხვევა და არ დაუჭრიათ პარტიის არც ერთი ხელმძღვანელი პირი,სერგეი კიროვის მკვლელობის გამოკლებით, რომელიც განხორციელდა 1934 წელს თვით მმართველი ოლიგარქიის ბრძანებით. 1969 წლის 22 იანვარს კრემლის მახლობლად იყო მცდელობა ესროლათ ბრეჟნევისათვის. თავდამსხმელმა სხვა ადამიანს ესროლა. ბრეჟნევი კი უვნებელი გადარჩა.

გარდა მთავარი სამმართველოებისა და უბრალოდ სამმართველოებისა, სუკ-ს აქვს კიდევ ექვსი დამოუკიდებელი განყოფილება.

## განსაკუთრებული გამოძიებების განყოფილება

განყოფილება იძიებს ისეთ შემთხვევებს, რომლებიც ეხება: ღალატში ან შპიონაჟში ეჭვებს, სუკ-ში ან სახელმწიფო სადაზვერვო სამმართველოში დასავლეთის დაზვერვის შეღწევას. აგრეთვე, დანაშაულებრივ გულგრილობას პარტიის მაღალი თანამდებობის პირებისა და მთავრობის მოხელეების მხრიდან. განყოფილებაში ხდება გარემოების გამოძიება, განისაზღვრება პასუხისმგებელი და შეფასდება ზარალი, რომელიც დეზერტირობის თითოეულ შემთხვევაში იქნა მიყენებული.

## ოპერატიული გამოცდილების გაცვლის განყოფილება

ამ განყოფილების ექსპერტები სწავლობენ როგორც საბჭოთა კავშირის, ისე საზღვარგარეთის ქვეყნების ოპერაციებს,რომ მიიღონ თავისთვის სასარგებლო გაკვეთილები. დასკვნები იბეჭდება ზესაიდუმლო ჟურნალში, რომელიც განსაკუთრებით შეზღუდული ტირაჟით იბეჭდება.

## სამთავრობო კავშირის განყოფილება

ამ განყოფილების კავშირგაბმულობის სამსახურის თანამშრომლები ემსახურებიან სატელეფონო და რადიოსისტემებს, რომლებითაც სარგებლობენ ყველა საბჭოთა სამთავრობო დაწესებულებაში.

## ფიზიკური უსაფრთხოების განყოფილება

ამ განყოფილებას ეკუთვნიან გუშაგები, დღედაღამ რომ პატრულირებენ სუკ-ის დაწესებულებებს. ისინი უწყობენ დაკითხვას და სთხოვენ თითოეულ თანამშრომელს, მისი რანგის მიუხედავად, წარმოადგინონ პირადობის დამადასტურებელი საბუთი ყოველთვის,როცა იგი შედის ან გამოდის შენობიდან, მაშინაც კი, თუ მათ კარგად იცნობს გუშაგი. სამუშაო დღის ბოლოს ისინი ჩამოივლიან თითოეულ დაწესებულებას, რომ შეამოწმონ კარგადაა თუ არა ყველა ფანჯარა დაკეტილი, შენახულია თუ არა ყველა ქაღალდი, დალუქულია თუ არა ყველა სეიფი. სუკ-ში განასხვავებენ უსაფრთხოების ორ სახეს: საიდუმლო და ზესაიდუმლო უსაფრთხოებას. პრაქტიკულად ყველა ქაღალდი და დოკუმენტი საიდუმლოდ ითვლება, მიუხედავად იმისა, არის მათზე გრიფი თუ არა.

## ფინანსური განყოფილება

ფინანსური განყოფილება დასაქმებულია საგადასახადო უწყისებით, საოპერაციო ფონდების ანაზღაურებით და ანგარიშებით, და ფულის გადაყვანით უცხოურ ვალუტაში. სუკ-ი, თუმცა კი ხარჯავს დიდ თანხებს გარეგნულად პროდუქტიულ ოპერაციებზე, მაგრამ ფულებს არ ანიავებს. ცხშირად ცდილობს რა აცდუნოს ახალწვეული, სუკ-ი მას უხდის გაცილებით მეტს, ვიდრე ღირს მის მიერ გაწეული სამსახური. როგორც კი დამთავრდება გადაბირების პროცესი, აგენტს ნაწილ-ნაწილ უხდიან გასამრჯელოს, რომლის სიდიდე მის მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულებისგან არის დამოკიდებული, და სუკ-ის აგენტებიდან ცოტა ვინმეს თუ შეუძლია გამდიდრდეს ამ ფულებით. გამომძიებლებმა აუცილებლად უნდა წარმოადგინონ მოკლე და ზუსტი ანგარიში მათი ხარჯების შესახებ. მაგრამ ხელმოწერებს აგენტებისაგან უკვე დიდი ხანია არ ითხოვენ. სუკ-ი ამჯობინებს ისარგებლოს ამერიკული დოლარებით, და თანამშრომლებს უხსნიან „American express“ ბანკის ჩეკის წიგნაკებით სარგებლობის მიზანშეწონილობას.

სრულებით არ არის ცნობილი სუკ-ის ბიუჯეტის ზომები. სუკ-ის ათასობით თანამშრომელი თავის ხელფასს იღებს იმ ქარხნებიდან, საწარმოებიდან და სამთავრობო დაწესებულებებიდან, სადაც მათ გზავნიან. სუკ-ი სარგებლობს თავისუფალი გადაზიდვებით, ტრანსპორტირებით და სხვა მრავალრიცხოვანი მომსახურებით, რომელთაც მათ საბჭოთა არმია და სხვა სამთავრობო დარგები უწევენ. სრულიად შესაძლებელია, რომ საბჭოთა კავშირში არავისთვის არ არის ცნობილი, რა უჯდება სუკ-ი ხალხს.

## საარქივო და სარეგისტრაციო განყოფილება

სუკ-ის ყველა საქაღალდე და ანგარიში, რომლებიც მიმდინარე ოპერაციებთანაა დაკავშირებული, იმყოფება იმ განყოფილებებში, სადაც პასუხისმგებელნი არიან მათ შესრულებაზე. განყოფილების განკარგულებაშია საერთო ინდექსი, რომელიც აღწერს თითოეული საქაღალდის შინაარსს მოკლედ და მის ადგილმდებარეობას. არქივებში არის გამოძიებებისა და ოპერაციების ანგარიშები საგანგებო კომიტეტის დროიდან მოყოლებული.

სუკ-ის კართოტეკებში არის დოსიე ყველა აგენტსა და ცნობების მიმწოდებელზე, ცნობილ დეზერტირსა და ემიგრანტზე, ყოფილ პატიმარზე, საბჭოთა მოქალაქეზე, რომელსაც საზღვარგარეთ უმოგზაურია ან იქ ჰყავს ნათესავები. უცხოელზე, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფება და აგრეთვე, საპატიმროსი და სასამართლოს რეგისტრაცია. კართოტეკებში არის წვრილმანი დამნაშავეების სია, რომელთა შესახებ სუკ-მა გადაწყვიტა არ გამოედევნოს თავიდან, იმედოვნებს რაიმე დროს მათ შანტაჟირებით გამოიყენებს ცნობების მიმწოდებლად. 1954 წელს რეორგანიზაციის დროიდან დაწყებული, მილიცია აწარმოებს ბიოგრაფიულ რეესტრს, რომელშიც მითითებულია საცხოვრებელი ადგილი, შრომითი ბიოგრაფია და სხვა მონაცემები თითოეული საბჭოთა მოქალაქის შესახებ.ბუნებრივია,რომ ეს მონაცემები იმყოფება სუკ-ის მუდმივ განყოფილებაში. როგორც სუკ-ი, ისე მილიცია, მუდამ ცდილობს თავისი კართოტეკების მოდერნიზებას. ამიტომ დოსიეს წარმოებისათვის იყენებს საანგარიშო-გამომთვლელ მანქანებს.

თავისი წარმოშობის დასაწყისიდან, და განსაკუთრებით 1954 წელს, სუკ-მა განიცადა ბევრი ორგანიზაციული ცვლილება. მოსალოდნელია კიდევ მეტი. მაგრამ სუკ-ის თანამედროვე დონეზე ორგანიზების ამოცანა და მეთოდები შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა საბჭოთა კავშირი გარდაიქმნება ნამდვილად რადიკალურად.

## თავი VIII

## დეზინფორმაცია, როგორც საზოგადოებრივი აზრის ფორმულირების ხერხი

მრავალი წლის მანძილზე საბჭოთა კავშირი, სარგებლობს რა ე.წ. დეზინფორმაციით, მხარს უჭერდა და ავრცელებდა ხმებს გრანდიოზული მასშტაბებით, რაც გათვლილი იყო იმაზე, რომ შეცდომაში შეეყვანა, შეეშფოთებინა და ან მოეტყუებინა საზოგადოებრივი აზრი საზღვარგარეთ.

რუსები დეზინფორმაციას განმარტავენ, როგორც „ყალბი და პროვოკაციული ინფორმაციის გავრცელება“-ს. მაგრამ სუკ-ის მიერ გამოყენებული დეზინფორმაცია სინამდვილეში გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე ეს განმარტებიდან ჩანს. აქ შედის ყალბი და შეთხზული დოკუმენტების, წერილების, ხელნაწერების და ფოტოსურათების გამრავლება; აგენტების მიერ შეცდომაში შემყვანი ხმების და ყალბი ინფორმაციის გავრცელება; საბჭოთა კავშირში ჩამოსული ადამიანების გაბრიყვება; ასევე, ფსიქოლოგიური ეფექტის მიზნით შესრულებული ფიზიკური ძალადობა. ყველა ეს მეთოდი მრავალმხრივად გამოიყენება საზღვარგარეთის მთავრობების პოლიტიკურ კურსზე ზემოქმედების მოსახდენად — ხალხებს შორის ურთიერთობათა გაუარესებისათვის,ეროვნებების ნდობის შესარყევად მათი ხელმძღვანელებისა და დაწესებულებების მიმართ; ცალკეული ადამიანებისა და მთელი ჯგუფების დისკრედიტაციისათვის,რომლებიც საბჭოთა კავშირის მიერ გატარებული პოლიტიკის წინააღმდეგ არიან განწყობილნი, ცრუ წარმოდგენის შესაქმნელად უცხოელთათვის საბჭოთა ზრახვებსა და პირობებთან მიმართებაში საბჭოთა კავშირის შიგნით, ზოგჯერ კი უბრალოდ მხოლოდ იმისათვის, რომ მიჩქმალონ სუკ-ის წარუმატებლობა და უხეში შეცდომები.

დეზინფორმაციული ოპერაციები იმით განსხვავდება ჩვეულებრივი პროპაგანდისაგან, რომ მათი ნამდვილი წყარო საიდუმლოდაა შენახული, ამასთან ისინი მოიცავენ საიდუმლო მოქმედებათა რაიმე ფორმას. ამ მიზეზით საბჭოთა ხელმძღვანელი პირები ყოველთვის ავალებდნენ თავის საიდუმლო აპარატს ეტვირთა მთავარი პასუხისმგებლობა დეზინფორმაციისათვის.

სუკ-ის რეორგანიზაციამდე 1959 წელს საგანგებო კომიტეტის საორგანიზაციო მემკვიდრეებიდან ყველას, უკანასკნელის ჩათვლით, ჰქონდა „დეზინფორმაციული კაბინეტი“. 1959 წელს შეიქმნა დეზინფორმაციის დიდი განყოფილება, რომელიც ცნობილი იყო, როგორც „განყოფილება Д“ და ეკუთვნოდა პირველ მთავარ სამმართველოს. პირველი მისი უფროსი იყო გენერალი ივანე ივანეს-ძე აგაიანცი. მას თავი განკერძოებულად ეჭირა. იყო მაღალი, შეჭაღარავებული ულვაშების წვრილი ზოლით. ასკეტური და მუდამ დაღვრემილი აგაიანცი თავის თავში აერთებდა ფაქიზ ხასიათს და მიდრეკილებას პროფესიული შეუბრალებლობისადმი. მან შტატში შეკრიბა დაახლოებით 50 ოფიცერი, სუკ-ის ცენტრიდან და განალაგა 15-20 თანამშრომელი სუკ-ის კუთვნილ რეზიდენციაში კარლ შორსტში აღმოსავლეთ ბერლინში. დამატებით მას ჰქონდა უფლება ესარგებლა მეცნიერების მომსახურებით, ტექნიკური და სამხედრო სპეციალისტების კონსულტაციებით მაშინ, როცა მას ეს დასჭირდებოდა. აგაიანცის სიკვდილის შემდეგ, 1968 წელს კიდევ ერთი რეორგანიზაციის შედეგად „დეზინფორმაციის განყოფილება გარდაიქმნა „განყოფილება A“-დ, რომელსაც დასჭირდა უფრო მაღალი მდგომარეობა უცხოეთის განყოფილების იერარქიაში, და მაშასადამე, მეტი თანამშრომელიც.

დროდადრო დეზინფორმაციის განყოფილების თანამშრომლები მიემგზავრებიან საზღვარგარეთ ოპერაციებში მონაწილეობის მისაღებად, აგაიანცი შეძვრა შვეციაში, ხოლო 1965 წელს — პაკისტანში. 1965 წელს მან მოინახულა ინდონეზია; დროის გარკვეული შუალედების შემდეგ ჩადიოდა აღმოსავლეთ ევროპაშიც, სადაც აკონტროლებდა სატელიტი ქვეყნების დეზინფორმაციული განყოფილებების მუშაობას. 1966 წელს მისი მოადგილე ჩადიოდა ბონში, სადაც ეძებდა მასალას ცილისწამებისათვის დასავლეთ-გერმანელ პოლიტიკურ ლიდერებზე. დეზინფორმაციის განყოფილების მეორე თანამშრომელი, იური ივანეს-ძე ლიუდინი, იმალებოდა რა იური ივანეს ძე მოდინის სახელით, 10 თვე გაატარა ნიუ-დელიში, სადაც ამზადებდა ყალბ საბუთებს, რომლებიც სუკ-მა გამოიყენა 1967 წელს, რათა ზეგავლენა მოეხდინა არჩევნებზე ინდოეთში. დეზინფორმაციის რამდენიმე ოფიცერი,როგორც მაგალითად, გაეროსთან არსებული საბჭოთა დელეგაციის პირველი მდივანი ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე ჩუგკჩინი, იმყოფება საზღვარგარეთ მუდმივად. მაგრამ დიდი ნაწილი სამუშაოსი A-განყოფილებისათვის საზღვარგარეთ სრულდება პირველი მთავარი სამმართველოს გეოგრაფიული ქვეგანყოფილებების ოფიცრებით და აგენტებით. მას შეუძლია, აგრეთვე, ისარგებლოს B-განყოფილებიდან დივერსანტების მომსახურებით და ახლანდელი საბჭოთა დიპლომატებით,რომელთაც დროდადრო მოეთხოვებათ ხმების გავრცელება განზრახ ან წინასწარ განუზრახველად.

განყოფილება A ასრულებს დეზინფორმაციის ოპერაციებს უცხოელების წინააღმდეგ საბჭოთა კავშირში, რაც კეთდება როგორც მისი საკუთარი თანამშრომლების საშუალებით, ისე მეორე მთავარი სამმართველოს სხვადასხვა განყოფილების მიერ.

პოლიტიკური მოღვაწენი, მეცნიერები, ჟურნალისტები, რელიგიის მსახურნი, რომელთა აზრსაც აქვს დიდი წონა საკუთარ ქვეყნებში, სსრკ-ში ჩამოსვლისას ჩვეულებრივ სპეცსამსახურის მოქმედების ობიექტები ხდებიან. სუკ-ისათვის დამახასიათებელია მცდელობა იმისა, რომ უცხოელს მისცეს შესაძლებლობა დაინახოს მხოლოდ ის, რაც მისი კონტროლის ქვეშაა, ერთდროულად, ცდილობს რა დაარწმუნოს იგი იმაში, თითქოს მას თავისუფლად შეუძლია დაინახოს ყველაფერი, რაც მას უნდა. სუკ-ი ცდილობს ზეგავლენა მოახდინოს უცხოელის აზრზე, აიძულებს რა, იმავე დროს, ამ უკანასკნელმა იფიქროს, რომ ეს აზრი მისი საკუთარია, სუკ-ი ძალიან ხშირად აღწევს წარმატებას ამაში იმის წყალობით, რომ შეუძლია აკონტროლოს საბჭოთა გარემოცვა. საარქივო მასალებს შეუძლიათ მოგვითხრონ ამ მანიპულაციების სახელგანთქმულ მსხვერპლთა შესახებ.

გაცხარებული შიმშილის დროს, რომელმაც რობერტ კონკვესტის გათვლებით ხუთიდან ექვს მილიონამდე სიცოცხლე წაიღო, 1932-33 წლებში, ბრიტანელი სოფლის მეურნეობის ექსპერტი სერ ჯონ მაინარდი ექსკურსიაზე წავიდა უკრაინაში სახელმწიფო პოლიტსამმართველოს განყოფილებიდან გიდების თანხლებით. როცა დაბრუნდა ლონდონში, მაინარდმა დაარწმუნა მთელი მსოფლიო, რომ შიმშილი სსრკ-ში არ არსებობს; შესაძლებელია ზოგიერთი ცალკეული ნაკლოვანება კვების საქმეში იყოს, ამბობდა იგი, მაგრამ ნამდვილად არაა არავითარი ფართოდ გავრცელებული შიმშილი. ზუსტად ასევე, ბერნარდ შოუც დაბრუნდა ექსკურსიიდან, სადაც სახელმწიფო პოლიტსამმართველოს განყოფილების წარმომადგენლებთან ერთად იყო, და განაცხადა, რომ სსრკ-ში შიმშილის ლანდიც არ არის. ბოლოსდაბოლოს, სასტუმროებში, სადაც იგი ჩერდებოდა, საჭმელი, მართლაც, უხვად იყო.

ყველაზე სასტიკი სტალინური საკონცენტრაციო ბანაკებიდან იყო შინაგან საქმეთა სახალხო კომიტეტის ფორპოსტის ბანაკები, სახელწოდებით „Дальстрой“, განლაგებული ოქროიან რაიონში ჩრდილო-აღმოსავლეთ ციმბირში კოლიმაზე. წლის დიდ ნაწილში იქ უჭირავს ტემპერატურა 20-დან 40 გრადუსამდე ნულის ქვემოთ, და ქირურგები მუდმივად დაკავებულები იყვნენ ცუდად ჩაცმული ტუსაღების მოყინული კიდურების ამპუტაციით. მეცნიერები, მხატვრები, მასწავლებლები და სხვა ინტელიგენტები, აგრეთვე, პარტიული მუშაკები, რომლებიც შეადგენდნენ პოლიტიკური პატიმრების უმრავლესობას, არ იყვნენ მიჩვეულები ასეთ მძიმე ფიზიკურ შრომას — 12 საათს დღეღამეში, რასაც მათგან ითხოვდნენ. თუ ვერ შესძლებდნენ დღიური ნორმის შესრულებას, მაშინ მათ დასჯის მიზნით უმცირებდნენ ისედაც მცირე ულუფას. ნაკლები საკვების მიღებით ისინი კიდევ უფრო სუსტდებოდნენ და არ შეეძლოთ არც მუშაობა, არც თავის დაცვა სისხლის სამართლის დამნაშავეთაგან, რომლებიც ძარცვავდნენ და აწამებდნენ მათ. ჩვეულებრივი ამბავი იყო პატიმრების ცემა ხელკეტებით, ათასობით პატიმარი დახვრეტილ იქნა. საშუალო წლიური სიკვდილიანობა მაღაროებში შეადგენდა 30 პროცენტს და კონვესტი ასკვნის, რომ მხოლოდ 1937-დან 1941 წლამდე გარდაიცვალა მილიონამდე დალსტროელი პატიმარი.

1944 წელს მაგადანში დალსტროის ბანაკის პატიმრებს დასდეს განსაკუთრებული პატივი ორი ცნობილი ამერიკელის უჩვეულო ვიზიტით. ესენი იყვნენ: ჰენრი ა. უოლესი — აშშ ვიცე-პრეზიდენტი და პროფესორი რუენ ლატიმორი — სამხედრო ინფორმაციის სამინისტროს წარმომადგენელი. როგორც კარგ მასპინძელს შეეფერება, დალსტროი შეუდგა განსაკუთრებულ სამზადისს სტუმრების მისაღებად. ერთი ღამის განმავლობაში შსსკ თანამშრომლებმა დაანგრიეს ყველა სათვალთვალო კოშკი მაგადანის ირგვლივ. გამოიყენეს რა მოსახლეობის კერძო მარაგები, შეაგროვეს რუსული საქონელი, რათა შეევსოთ მაღაზიებში ცარიელი თაროები. მაღაზიებში მომსახურე პერსონალად შსსკ-ის და ქალაქის სამოქალაქო ადმინისტრაცია გამოიყენეს. ღონემიხდილი პატიმარი ქალები, რომელთაც საღორეებში ამუშავებდნენ ახლომდებარე მეურნეობებში, შეცვალეს მაგადანში შსსკ-ში მომუშავე ყველაზე წარმოსადეგი ქალებით. შახტებში გამოჩნდნენ ძლიერი,ჯანმრთელი ახალგაზრდები, რომლებმაც შეცვალეს დაუძლურებული პატიმარი კაცები. სამი დღის განმავლობაში, როცა ამერიკელები ათვალიერებდნენ ბანაკს, ყველა პატიმარი გაძლიერებული დაცვის ქვეშ ჰყავდათ. სტუმრებისაგან შორს, და პირველად და უკანასკნელად, მათ აყურებინებდნენ კინოფილმებს,რომ არ მოეწყოთ არეულობა.

შემდეგში ლატიმორმა და უოლესენმა გამოაქვეყნეს ანგარიშები მაგადანისა და მისი შემოგარენის მონახულების შესახებ. 1944 წელს სტატიაში („ახალი გზა აზიაში“, გვ. 641-676), რომელიც მოთავსებული იყო დეკემბრის ნომერში ყოველთვიური ჟურნალის „National geography“, ლატიმორი აცხადებდა: „ალბათ, ჯერ არასოდეს არ ყოფილა ახალი მიწების დასახლება უფრო მოწესრიგებული,ვიდრე ეს საბჭოებმა გააკეთეს რუსეთის შორეულ ჩრდილოეთში. მაგადანი არის, აგრეთვე, ნაწილი დალსტროის გამორჩენილი საწარმოსი, რომელიც დიდი გაჭირვებით შეიძლება შევადაროთ ფირმების „ჰადსონ ბეი“ და „ტვა“-ს კომბინაციას. იგი აიარაღებს და მოქმედებაში შეჰყავს პორტები, გზატკეცილები და რკინიგზები, ოქროს მომპოვებელი შახტები. ხელმძღვანელობს მუნიციპალიტეტებს, ჰყავს ჩინებული ორკესტრი და კარგი საოპერეტო დასი მაგადანში“.

... როგორც ერთმა ამერიკელმა შენიშნა, მაღალი კლასის გართობები ბუნებრივადაა ჰარმონიაში ოქროსთან, თუმცა, ასევეა ძლიერ აღმასრულებელ ხელისუფლებასთან.

კატორღული სამუშაოების კომპლექსის უფროსის, შსსკ-ის გენერალ-ლეიტენანტ ივანე თედორეს-ძე ნიკიშოვის შესახებ საუბრისას, ლატიმორი წერს: „სულ ახლახანს ბატონი ნიკიშოვი, დალსტროის უფროსი, დაჯილდოებულ იქნა თავისი გამორჩეული მიღწევებისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდებით, ორივე, ისა და მისი მეუღლე, ავლენდნენ ფაქიზ ინტერესს ხელოვნებისა და მუსიკის მიმართ. აქვთ, აგრეთვე, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა. ჩვენ ინტერესით აღმოვაჩინეთ დანაშაულებათა, ლოთობისა და წარსული დროის ოქროს ციებ-ცხელების გაუთავებელი ჩხუბის ნაცვლად განიერი სათბურები, სადაც მოჰყავთ პომიდორი, კიტრი და ნესვიც კი, რათა შემართებული მეშახტეები საკმარისად იღებდნენ ვიტამინებს!

# როგორ გაიძარცვნენ მეანაბრენი?

ვრცელ წერილს, რომელიც ორთაჭალის ციხიდან გამოუგზავნა ადრესატებს ბანკ „ინოვაციის“ გამგეობის ყოფილმა თავმჯდომარემ ა. მელთაურმა, ვაქვეყნებთ გარკვეული მიზნით. დღემდე გაოგნებულია საზოგადოება, თუ როგორ დარჩა პირშიჩალაგამოვლებული 10000-ობით მეანაბრე და როგორ იქცნენ ისინი ერთეულების გამდიდრების წყაროდ, საკუთარი ოჯახის გალატაკების „ინიციატორებად“.

ვფიქრობთ, ქვემოთწარმოდგენილ წერილში მკითხველი ნაწილობრივ მაინც დაინახავს იმ მექანიზმს, რითაც მოსახლეობის ძარცვა-გლეჯა ხდებოდა. ახლა კი ყველაფერი „განტევების ვაცებს“ ბრალდებათ და სხვა ყველანი მშრალზე რჩებიან. უფრო მეტიც, ბანკების დალუქვით ბევრმა ხელიც მოითბო და ამღვრეული წყალი უფრო მეტად აამღვრია. ერთ ასეთ „განტევების ვაცად“ მოსჩანს ბანკ „ინოვაციის“ ყოფილი თავმჯდომარე, რომელიც ამჟამად პატიმრობაშია. ჩვენ არ ვიცნობთ ამ პიროვნებას და არაფრის მტკიცება არ შეგვიძლია, მაგრამ მისი წერილიდან ჩანს, რომ იგი მთავარი დამნაშავე არ უნდა იყოს. მთავარი დამნაშავენი, როგორც ჩანს, თავს კარგად გრძნობენ, თუ ყველაფერი ერთ კაცს გადაბრალდება. ასე ხდება ადამიანის ბედი ხშირად ინტერესთა გადათამაშების მსხვერპლი...

## წერილი საპატიმროდან

# საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარეს – სახელმწიფოს მეთაურს ბატონ ე. შევარდნაძეს! ადამიანთა უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს ბატონ ალ. კავსაძეს!

**უპირველესად** ყოვლისა მინდა წინასწარ ბოდიში მოგიხადოთ შეწუხებისათვის. ჩემს მდგომარეობაში ჩავარდნილი კაცისათვის სხვა გზა არ არსებობს, თუ არა — გზა სიმართლის ძიებისა. ვიდრე გადავწყვეტდი მომემართა თქვენთვის, ბევრი ვიფიქრე. სამართალდამცავი ორგანოების კანონიერი გადაწყვეტილების მოლოდინში თქვენი შეწუხებით თავს ვიკავებდი. რაც დრო გადის, დღითი-დღე პრობლემა, რომელზედაც მე თქვენ ქვემოთ მოგახსენებთ, უფრო მწვავდება და შველას ითხოვს, მშველელი კი არავინ ჩანს. ამიტომაც გადავწყვიტე მოგმართოთ თქვენ!

საქმე ეხება სააქციო-კომერციულ ბანკ „ინოვაციას“ და მის მეანაბრეებს. ბანკი „ინოვაცია“ შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს „საინოვაციო ფონდის“ ბაზაზე, რომელიც წარმოადგენდა ფონდის წესდებით გათვალისწინებულ ერთ-ერთ სტრუქტურას. შ.ს. სამინისტროს „საინოვაციო ფონდთან“ ერთად მოიძებნა ბანკის სხვა დამფუძნებლებიც, შეიქმნა ბანკის საწესდებო კაპიტალი (315 მილ. კუპონი) და ბანკმა „ინოვაციამ“ 1993 წლის 1 ივნისს, გაიარა რა რეგისტრაცია საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკში, დაიწყო ფუნქციონირება. ბანკს, წესდებიდან გამომდინარე, გააჩნდა თავისი საბჭო, რომელიც იყო ბანკისა და მისი საქმიანობის მაკონტროლებელი ორგანო. ბანკის საბჭოში შევიდნენ შ.ს. სამინისტროს თანამშრომლები (მინისტრი, „საინოვაციო ფონდის“ თავმჯდომარე, მოადგილე) და სხვა დამფუძნებელი ორგანოების ხელმძღვანელები. ბანკის საბჭოს გადაწყვეტილებით ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ ამირჩიეს მე. ბანკს ფუნქციონირების დაწყებისათვის უფლება კი მიეცა, მაგრამ საამისოდ არც შენობა გააჩნდა და არც მუშა პერსონალი. საჭირო იყო პირველ რიგში შენობის გამონახვა, ამისათვის კი საჭირო იყო გარკვეული რაოდენობის სახსრები. ამდაგვარი და სხვა საკითხების გადასაწყვეტად ვიკრიბებოდით შ.ს. სამინისტროში. ერთ-ერთ ასეთ შეხვედრაზე, რომელსაც ესწრებოდნენ ბანკის საბჭოს თავმჯდომარე, მისი მოადგილე, ერთ-ერთი ძირითადი დამფუძნებელი (ასოციაცია „ერქვანი“) — კ. ჯიბლაშვილი.

ბატონმა კ. ჯიბლაშვილმა წამოაყენა წინადადება, რომ მას სურვილი ჰქონდა მოსახლეობიდან მიეღო თანხები ანაბრებზე რომელიმე ბანკის მეშვეობით და შემოგვთავაზა — რაღა სხვა ბანკი მოვძებნო, როცა ჩვენს ახლადჩამოყალიბებულ ბანკს შენობისა და სხვადასხვა საჭიროებისათვის ესოდენ სჭირდება თანხებიო. ის ამდაგვარ საბანკო მომსახურეობისათვის ბანკს შეჰპირდა შემოსული თანხების 5%-ის გადახდას. დანარჩენებსაც ჭკუაში დაუჯდათ შემოთავაზებული წინადადება და მიიღეს გადაწყვეტილება — ბანკსა და ასოციაცია „ერქვანს“ შორის გაფორმებულიყო ორმხრივი ხელშეკრულება. ხელშეკრულება გაფორმდა 1993 წლის 7 ივლისს.

თანხების მისაღებად თვითონ ჯიბლაშვილის მიერ გამოიძებნა საჭირო ოთახები და მუშა პერსონალი. ამგვარად, ბანკმა 1993 წლის 13 ივლისიდან ასოციაცია „ერქვანთან“ დადებული ორმხრივი ხელშეკრულებით დაიწყო მოსახლეობიდან ანაბრებზე თანხების მიღება. ხელშეკრულების ძირითადი დედაარსი ასეთი იყო: მოსახლეობიდან მიღებული თანხების, დარიცხული პროცენტებით, თავისდროული დაბრუნების გარანტად იდგა ასოციაცია „ერქვანი“ თავისი უძრავ-მოძრავი ქონებით; ბანკში შემოსული თანხების მთლიანი გამოყენება შეეძლო ასოციაცია „ერქვანს“, აგრეთვე ბანკს. იმ შემთხვევაში, თუ ასოციაცია „ერქვანი“ დროულად ვერ მოახდენდა შემოსული თანხების დაბანდებას, ჰქონდა უფლება თავისუფალი სახსრები ბანკის მოგების მიზნით გაეცა კრედიტებად; ასოციაცია „ერქვანი“ ბანკს მომსახურეობისათვის გადაუხდიდა ანაბრებზე შემოსული მთლიანი თანხების 5%-ს.

როდესაც იქ — შინაგან საქმეთა სამინისტროში, დაისვა საკითხი მოსახლეობიდან ანაბრებზე თანხების მიღებაზე და თანხების დაბრუნების გარანტად დასახელდა ასოციაცია „ერქვანის“ უძრავ-მოძრავი ქონება, მე გამოვთქვი აზრი, რომ ისე არ დაიწყებდა ბანკი თანხების მიღებას, თუ არ იქნებოდა წინასწარ წარმოდგენილი ასოციაცია „ერქვანის“ უძრავ-მოძრავი ქონების ნუსხა. ამაზე ჯიბლაშვილმა განაცხადა, რომ თავის ბუღალტერს უკვე დაავალა ამის გაკეთება და რამოდენიმე დღეში წარმოადგენდა, რაშიც სხვებიც დაეთანხმნენ და მთხოვეს დამეწყო თანხების მიღება. მე რამდენადაც ისეთ სერიოზულ ორგანიზაციაში გაზრდილი და ასეთ სერიოზულ ხალხთან მქონდა საქმე, რაშიც მე ეჭვი არ შემპარვია, განვუცხადე თანხმობა და დავიწყეთ მოსახლეობიდან ანაბრებზე თანხების მიღება. აი, აქ იქნა ჩემს მიერ პირველი საბედისწერო შეცდომა დაშვებული. ზემოთ ნახსენები ქონების ნუსხა ჯიბლაშვილს გამოძიებამდე არ წარმოუდგენია, რასაც ყოველ შეხვედრაზე ხსნიდა სხვადასხვა (მისთვის საპატიო) მიზეზებით. ბანკის საბჭო რომ თავის სიმაღლეზე მდგარიყო, მათ მაინც უნდა აეძულებინათ ჯიბლაშვილი დროულად წარმოედგინა ქონების ნუსხა.

თავდაპირველად ანაბრებზე შემოსული თანხების მთლიანი ნაწილი მიჰქონდა ასოციაცია „ერქვანს“, კერძოდ, მის პრეზიდენტს — ჯიბლაშვილს, მხოლოდ ნაწილი თანხებისა უშუალოდ ჯიბლაშვილისა და ბანკის საბჭოს სხვა წევრების თანხმობითა და ჩარევით იცემოდა კრედიტებად. სადეპოზიტო ხელშეკრულებების ვადა თავდაპირველად იყო სამთვიანი. ე.ი. პირველი დივიდენდების გაცემა უნდა დაგვეწყო 1993 წლის 13 ოქტომბრის შემდგომ, ვიდრე აქამდე მივიდოდით, თუ არ ვცდები 1993 წლის სექტემბერში, ასოციაცია „ერქვანს“ წაღებული ჰქონდა იმ დროისათვის ანაბრებზე შემოსული თანხები მთლიანად გაცემული კრედიტების გამოკლებით. სწორედ ამ დროს მოხდა ჩვენთვის მოულოდნელი და გაუთვალისწინებელი რამ. კერძოდ, იმ დროისათვის დასავლეთ საქართველოში შექმნილმა მძიმე პოლიტიკურმა სიტუაციამ მეანაბრეთა შორის წარმოშვა შიში მათ მიერ შემოტანილი თანხების დაკარგვისა. მეანაბრეთა უდიდესი ნაწილი, მიუხედავად იმისა, რომ მათ ხელშეკრულებებს არ ჰქონდა ვადა გასული, სამთვიანი ვადის დადგომამდე მოვიდნენ და მოითხოვეს თავიანთი ძირითადი თანხები დარიცხულ პროცენტებთან ერთად. ჩვენ ასეთი შემთხვევისათვის სადეპოზიტო ხელშეკრულებებში არ გვქონდა ჩადებული დამცავი მექანიზმი, რის გამოც უარის თქმის უფლება არ გვქონდა. ხალხი ითხოვდა მათ კუთვნილ თანხებს. ასეთი სიტუაციის გამო მივმართე ბატონ ჯიბლაშვილს. მან განმიცხადა, რომ მის მიერ გატანილი თანხები საქმეში ჰქონდა დაბანდებული და ასე უცბად მისთვის შეუძლებელი იყო თანხების დაბრუნება. ჯიბლაშვილმა შემომთავაზა, რომ სხვა ბანკიდან აგველო სესხი.

გარდა ამისა, სამთვიანი სადეპოზიტო ხელშეკრულებები შევცვალა ყოველთვიურით და ასე გადავჭრა დროებით ეს პრობლემა. დროებით ვამბობ იმიტომ, რომ ჯიბლაშვილი მარწმუნებდა, სულ რაღაც მოკლე დროში დაუბრუნდებოდა მას საქმეში დაბანდებული თანხა დიდი მოგებით. იმ დროისათვის მეანაბრეების დიდმა ნაწილმა გაიტანა კუთვნილი თანხები, ზოგიერთებს ერთთვიან სადეპოზიტო ხელშეკრულებებზე გადასვლამ შეაკავებინა თავი თანხების გატანაზე და ამგვარად განმუხტული იქნა იმ დროისათვის არსებული პრობლემა, ძირითადად ეს მოხდა ახალ მეანაბრეთა მიერ შემოტანილი თანხების ხარჯზე. აი, აქ მოხდა ჩემს მიერ მეორე საბედისწერო შეცდომის დაშვება. მე რომ მეტი პრინციპულობა გამომეჩინა ამ დროს, შემეჩერებინა თანხების მიღება და ჯიბლაშვილი მაეძულებინა მეანაბრეებისათვის გაესტუმრებინა კუთვნილი თანხები, მაშინ ამ დღეში არ აღმოვჩნდებოდი. თქვენ ალბათ დაგებადათ კითხვა — მერედა რატომ არ გამოიჩინე ასეთი პრინციპულობაო? გამოვიჩინე კიდევაც, მაგრამ ამ დროისათვის ჯიბლაშვილი მიდის მოსკოვში, ხსნის დიდ ბიზნესცენტრს და იქიდან იძლევა დიდ იმედებს — ყველაფერი შესაშური წარმატებით მიდის, ჩამოვალ და ყველას გავისტუმრებო. ამის შესახებ მე მრავალგზის მქონია საუბარი ბანკის საბჭოს წევრებთან და ისინიც მარწმუნებდნენ, რომ ჯიბლაშვილი თავს არ შეირცხვენდა და დაპირებისამებრ ყველაფერს გააკეთებდა. მე კეთილი მომავლის იმედით ბრიყვულად ვიტყუებდი თავს და მჯეროდა, რომ თუ ჯიბლაშვილი გაბედავს ჩემს მოტყუებას, შინაგან საქმეთა სამინისტროს მოტყუებას მაინც ვერ გაბედავს — მეთქი. სამწუხაროდ, მწარედ შევცდი. მე სხვა არაფერი დამრჩენოდა, მინდოდა თუ არ მინდოდა, უნდა დამეჯერებინა კეთილი მომავლის იმედი. ანაბრებზე თანხების შემოტანა კი გრძელდებოდა, მეანაბრეები მათ კუთვნილ თანხებს დივიდენდებთან ერთად დროულად იღებდნენ. ყოველივე ამან დიდი პოპულარობა და ხალხის ნდობის გამოცხადება მოუტანა ჩვენს ბანკს. შემოსული თანხების თავისუფალი ნაწილი, ბანკისათვის მოგების მიზნით, იცემოდა კრედიტებად. კრედიტების გაცემის დროს ჩემს მიერ დაშვებული იქნა კიდევ ერთი მიუტევებელი შეცდომა — ვენდობოდი რა სხვადასხვა თანამდებობის პირთა მიერ რეკომენდირებულ პიროვნებებს, კრედიტების გაცემისას არ ვიტოვებდი გაცემული თანხების შესაბამის გირაოს, რაც საბოლოოდ საბედისწერო აღმოჩნდა ჩემთვის. უკვე 1993 წლის დამლევს თავი იჩინა ჯიბლაშვილის მიერ დაუბრუნებელმა თანხამ. ამას დაემატა დაუბრუნებელი კრედიტები. კრედიტების გამტანები სამებარი და სადევნი გახდა, ჯიბლაშვილი მოსკოვში იმყოფებოდა, სხვა დამფუძნებლები თავს არ იწუხებდნენ მდგომარეობის გამოსასწორებლად, გაჭირდა მეანაბრეებზე კუთვნილი დივიდენდების გაცემა. დავრჩი მეანაბრეთა წინაშე მარტოდ-მარტო, აღარ ვიცოდი, რა მექნა. უკვე აუტანელი ხდებოდა დივიდენდების მომლოდინე მეანაბრეთათვის ყოველდღიურად ერთი და იგივეს თქმა — ამ დღეებში ჩამოვა ჯიბლაშვილი მოსკოვიდან, ჩამოიტანს თანხას და ყველას გაგისტუმრებთო. თითქოს აქ უნდა დასმულიყო ყველაფერს წერტილი, ყველაფერს თავისი სახელი დარქმეოდა. ჩემი დაჟინებული მოთხოვნით მოსკოვიდან ჩამოვიდა ჯიბლაშვილი, რათა პასუხი გაეცა მეანაბრეთათვის, თუ რას აპირებდა. ამ დროისათვის ჩვენდა (და მისდა) „სამწუხაროდ“, ერთ-ერთი პიროვნება ხდება საკმაოდ სოლიდური თანხით ბანკის მეანაბრე. სწორედ ამ თანხით თვითონ უშუალოდ ჯიბლაშვილის და ბანკის საბჭოს თავმჯდომარის მეცადინეობით მოხდა დივიდენდების გაცემა. მეანაბრეებმა დაინახეს რა, პირობა შესრულდა და დივიდენდები გაიცა, აღიქვეს მცირე შეფერხებად, უფრო ირწმუნეს ჩვენი და დაიწყო უფრო მეტი თანხების შემოტანა. თანხების შემოტანა განაპირობა აგრეთვე ყოველთვიური საპროცენტო განაკვეთის გაზრდამაც. ბანკის მუშაობა მიდიოდა „თვითდინებით“ — შემოსული თანხები უკანვე იცემოდა დივიდენდების სახით. მე ვგრძნობდი თუ რა საშინელების წინაშე შეიძლებოდა აღმოვჩენილიყავით, თუ თანხები დროულად არ დაბრუნდებოდა, მაგრამ იმ იმედით, რომ თანხები დაბრუნდებოდა, იძულებით დროებით გაჩუმება ვამჯობინე. მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული და შედეგმაც არ დააყოვნა.

ჯიბლაშვილი ჩამოდის მოსკოვიდან ხელცარიელი, იწყებს მუშაობას გლდანის რ-ნის გამგებლად და ბანკისათვის ვეღარ იცლის. ბანკისათვის აღარ სცალიათ არც სხვა დამფუძნებლებს, ბანკის საბჭო არ იკრიბება. შემიყვანეს „ჩიხში“ და მერე მიმატოვეს. დაიწყო მეანაბრეთა გაუთავებელი რიგები თანხების დაბრუნების მოთხოვნით. მე სხვა არაფერი დამრჩენოდა, დავიწყე ბანკის დებიტორების სათითაოდ მოძებნა თანხების ამოღების მიზნით, რაშიც მხოლოდ ბანკის საბჭოს თავმჯდომარე ნ. ბაწელაშვილი მიწევდა დახმარებას. დებიტორული თანხების ამოღება მთელ რიგ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. ნაწილი დებიტორებისა ადგილზე არ აღმოჩნდა. მათ შორის სამი დიდი დებიტორი და ერთ-ერთი დამფუძნებელი-დებიტორი ქ. ჯაფარიძეც მოსკოვში აღმოჩნდნენ წასულები კრედიტების ასაღებად. მე მათივე მოთხოვნით (სატელეფონო საუბრებით), რომ ისინი დღე-დღეზე აიღებდნენ მოსკოვში ფულს და იქ გადაიხდიდნენ ბანკის ვალს, 1994 წლის ივნისის ბოლოს გავემგზავრე მოსკოვში. იქ ჩასვლისას შევხვდი დებიტორებს, ისინი ყოველდღიურად მოდიოდნენ ჩემთან და მაბარებდნენ ანგარიშს, თუ რას აკეთებდნენ. მათ მართლაც ერთ-ორ კვირაში უნდა აეღოთ თანხები და შემდგომ უნდა მომეხდინა ამ თანხების გადმორიცხვა თბილისში „ივერთბანკის“ მოსკოვის ფილიალის მეშვეობით. პარალელურად ამისა, მოსკოვის ერთ-ერთ ბანკთან დაწყებული მქონდა მოლაპარაკება ბანკთაშორის კრედიტზე და არც თუ უშედეგოდ, მაგრამ ჩემდა გასაოცრად მოულოდნელად გამომიძახეს შინაგან საქმეთა სამინისტროში და დამაპატიმრეს. ეს მოხდა 1994 წლის 5 აგვისტოს. დაკავების პირველივე დღიდანვე ვარწმუნებდი სამართალდამცავ ორგანოებს, რომ ჩემი დაკავება ამ ეტაპზე გაუმართლებელი იყო, ვუხსნიდი რომ ამით მხოლოდ საქმე გაფუჭდებოდა, მაგრამ არ დამიჯერეს. მე მაშინ მივეცი მოსკოვში მყოფი დებიტორების სია და კოორდინატები და ვთხოვე, რომ მათ მაინც მოეხდინათ ამ თანხების ამოღება. მას შემდგომ გავიდა ერთი წელი, მათ არა თუ არ ნახეს დებიტორები, დღესაც არ იციან ისინი სად არიან. ასე დამაკარგვინა შინაგან საქმეთა სამინისტრომ ჩემი დაკავებით თანხები, რასაც მთელი მეანაბრეები იმედით ელოდნენ.

ჩემი დაკავების შემდგომ ბანკში დაინიშნა რევიზია. აქაც ჩემს მიმართ ჩადენილი იქნა უკანონობა — ჩემი დაჟინებული თხოვნა, რევიზია ჩატარებულიყო ჩემი თანდასწრებით, უგულებელყოფილი იქნა. უფრო მეტიც, ჩამომართვეს ბანკის ბეჭედი და ნაცვლად იმისა, დალუქულიყო და შენახულიყო, გადასცეს ბანკის საქმის სრულიად უცოდინარ პიროვნებებს. ბანკის საბუთების დიდი ნაწილი საეჭვო ვითარებაში გაქრა. ის დოკუმენტები, რომლებიც 100%-ით დარწმუნებული ვარ და ჩემი ხელით მაქვს შექმნილი, თურმე აღარ არსებობს. ამ ერთი წლის განმავლობაში იქ ვინ და როგორ „აფათურა“ ხელი, ამაზე მე ჯერჯერობით არაფრის თქმა არ შემიძლია, მაგრამ ფაქტი სახეზეა, 10-თვიანი რევიზიის შედეგი სახეზეა — ბანკში აღმოჩნდა „ხელოვნური დანაკლისი“.

მე კატეგორიულად ვაცხადებ, და თითოეულ ჩემს სიტყვაზე მზად ვარ ვაგო პასუხი, — დანაკლისი გამოყვანილია ხელოვნურად. თუ მომეცემა ამის დამტკიცების საშუალება, მზად ვარ დავამტკიცო ყოველივე. ბანკში რევიზიის ჩამტარებლები აცხადებენ, რომ ისინი არ ცნობენ ზოგიერთ დოკუმენტებს იურიდიულ დოკუმენტებად. მათი არასწორად გაფორმების გამო. ამაში მეც ვეთანხმები, როგორც წლების მანძილზე რევიზორად ნამუშევარი. მაგრამ საქმე როდესაც ეხება ჭეშმარიტების დადგენას, ხომ შეიძლებოდა ასეთ შემთხვევებში დაკითხულიყო კონკრეტულად ის პიროვნებები, ვის სახელთანაცაა დაკავშირებული გაურკვევლობა და მათი ჩვენებებით დადგენილიყო ჭეშმარიტება? მათ არც იმაზე გაამახვილეს ყურადღება, რომ ბანკი — როგორც ბანკი ჯერაც არ იყო ჩამოყალიბებული და მხოლოდ მეანაბრეებთან ურთიერთობით შემოიფარგლებოდა მისი საქმიანობა, რომ ბანკის შენობის რემონტიც კი არ იყო ჯერ მორჩენილი და რომ არ იყო გასაკვირი საბუღალტრო აღრიცხვა იდეალურ წესრიგში ყოფილიყო, მით უმეტეს, ჯერ ბანკის მთავარი ბუღალტერიც კი არ გვყავდა. მე როგორც მესმის, ახლად შექმნილ ორგანიზაციაში როდესაც შემმოწმებელი შედის, თუ რაიმე არასწორად არის და შეიძლება მისი გამოსწორება, მას ეხმარებიან და არა პირიქით.

უკვე ერთი წელია ვითხოვ მომეცეს საშუალება დავამტკიცო სიმართლე: რომ მე არც ბანკის და არცერთი მეანაბრის არცერთი გროში არ მიმითვისებია: რომ ბანკში არ არსებობს და არ შეიძლება იყოს არანაირი დანაკლისი. ჩემის ღრმა რწმენით, ეს არ კეთდება იმიტომ, რომ არ დადგინდეს სიმართლე და მე მეანაბრეთა თვალში დავრჩე თაღლითად, დამტაცებლად და ვინ იცის კიდევ რად. ამით ხომ „მავანნი“ მეანაბრეთა ისედაც გამწარებულ არმიას კიდევ უფრო მტრულად განაწყობენ ჩემს მიმართ და თვითონ ჩრდილში რჩებიან. ამით მათ სათქმელი ექნებათ — დამნაშავემ საკადრისი მიიღო, ჩვენ კი გვაცალეთ მუშაობა და როცა შევძლებთ, მაშინ მიიღებთ თქვენს თანხებსო:

ყოველივე ამის ფიქრის საბაბს მაძლევს თუნდაც ის ფაქტი, რომ ორიოდე დღის წინ ჩემთან მოვიდა გამომძიებელი და წამიყენა უფრო მძიმე მუხლი — საქ. რესპუბლიკის ს.ს.კ-ის 96' მუხლი. მაშინ როდესაც მე სახელმწიფო სექტორთან არავითარი შეხება არ მქონია, მაშინ როდესაც უკვე ერთი წელია დაკავებული ვარ საქართველოს რესპუბლიკის ს-ს-კ-ის 93-ე მუხლის I—II და III ნაწილით და ამ ხნის განმავლობაში ახალი არაფერი მომხდარა.

ბანკ „ინოვაციის“ საქმეზე დაკავებული ვიყავით ოთხი ადამიანი: ბანკის საბჭოს თავმჯდომარე და მისი მოადგილე, ბატონი კ. ჯიბლაშვილი და მე. ჯერ კიდევ გასულ წელს მრავალგზის იქნა დასმული საკითხი ჩვენი თავდებით გაშვებაზე, რათა გვემუშავა და გაგვესტუმრებინა მეანაბრეები, მაგრამ ეს არ კეთდებოდა. ამჟამად პატიმრობაში ვიმყოფები მხოლოდ მე. ბანკის საბჭოს თავმჯდომარე და მისი მოადგილე განთავისუფლდნენ სასჯელისაგან, ბატონი კ. ჯიბლაშვილი, როგორც იქნა გაშვებულ იქნა თავდებში. პატიმრობაში დავრჩი ადამიანი, რომელმაც ყველაზე მეტი ტანჯვა გადაიტანა, რომელიც ყველაზე მეტად არის დაინტერესებული მეანაბრეთა ბედ-იღბლით, რომელმაც ყველაფერი გაიღო იმისათვის, რომ ბანკის თუნდაც ერთ მეანაბრეს არ ეთქვა მასზე აუგი.

სამწუხაროდ, ჩემი პიროვნება როგორც აწყობთ ისეთად დაუხასიათეს მეანაბრეებს და ყველაფრის გადაბრალება ჩემზე უნდათ.

გთხოვთ გამოხატოთ თქვენი პოზიცია და დამეხმაროთ ელემენტარული სიმართლის დადგენაში.

პატივისცემით: ბანკ „ინოვაციის“ გამგეობის ყოფილი თავმჯდომარე: ა. მელთაური

ქ. თბილისის №1 საგამოძიებო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წვერებიანი ანეკდოტები

ებრაელი ხუკ-ში გამოიძახეს.

— გავიგეთ ივრითს სწავლობთ, ისრაელში აპირებთ წასვლას?

— სულაც არა. წმინდა წიგნში წავიკითხე, სამოთხეში ივრითზე ლაპარაკობენ.

— იქნებ ჯოჯოხეთში ხვდებით?

— ჯოჯოხეთისთვის რუსული უკვე ნასწავლი მაქვს.

* * *

— რა სხვაობაა ნიანგსა და ხვლიკს შორის?

— ხვლიკი იგივე ნიანგია, ოღონდ სოციალიზმ გამოვლილი.

* * *

ჩუკჩა მოსკოვში ჩავიდა. შევიდა „ბერიოზკაში" და პოლიტიკური თავშესაფარი ითხოვა.

* * *

— რა არის ოპტიმიზმი?

— ინფორმაციის უკმარისობა.

* * *

რაბინოვიჩი ტურისტულ მოგზაურობაში გაუშვეს. ისიც ყველა მხრიდან ტელეგრამებს აგზავნის:

„სალამი თავისუფალი ბულგარეთიდან. რაბინოვიჩი"

„სალამი თავისუფალი რუმინეთიდან. რაბინოვიჩი"

„სალამი თავისუფალი უნგრეთიდან. რაბინოვიჩი"

„სალამი ავსტრიიდან. თავისუფალი რაბინოვიჩი"

* * *

საბჭოთა კავშირში ჩამოსული ტურისტი გურიასაც ეწვია სანახავად. ერთ-ერთ ეზოში შესული ტურისტი მაინც და მაინც წალმით გადახურულ გაუქმებულ ჩეჩმის ორმოს მიადგა და ზედ გადაიარა. შეწუხებულმა მასპინძლებმა ამოიყვანეს დასვრილი ტურისტი...

ტურისტი: - ასეთ ორმოებს ჩვენ გარშემო პატარა წითელ დროშებს ვუკეთებთ.

მასპინძელი: - დალოცვილო, საზღვარზე რომ გადმოდიოდი ვეებერთელა წითელი დროშები ვერ შეამჩნიე აქეთ რომ წამოხვედი?

* * *

— რატომ არ არის ინგლისში ანტისემიტიზმი?

— იმიტომ რომ ინგლისელები არ სთვლიან თავს ებრაელებზე სულელებად.

* * *

ცენტრალური კომიტეტის ახალი გენერალური მდივანი იური ანდროპოვი 1982 წლის 31 დეკემბერს მოსახლეობას ახალი წლის დადგომას ულოცავს:

— ძვირფასო მეგობრებო! გილოცავთ ახალი 1937 წლის დადგომას!

* * *

ხრუშჩოვი ვირზე ამხედრებულა. უზბეკი:

— რა კაი ღორია!

— ღორი კი არა ვირია — ბრაზობს ხრუშჩოვი.

— მერედა შენ ვინ გელაპარაკება? — ჩაიცინა უზბეკმა.






**თარაზულად:** 1. რაიმე საქმეში უაღრესად დახელოვნებული ადამიანი. 2. გამოჩენილი ქართველი დრამატურგი. 5. ლითონზე შესრულებული გრავიურა. 7. რამოდენიმე მუსიკალური ბგერის ჰარმონიული შეერთება. 9. ქება. 10. მეცნიერი, რომელიც ცხოველთა სამყაროს სწავლობს. 12. სოფელი ასპინძის რაიონში. 18. ბერძნულ მითოლოგიაში ტიტანი, რომელსაც ცის თაღი უჭირავს. 19. რაიმე გამოსახულების ანაბეჭდი ქაღალდზე. 20. ს. ცვაიგის ნაწარმოები. 21. პოეზიის ჟანრი. 22. ჰომეროსის პოემა. 23. საბეჭდი ქაღალდის 1/4. 24. წარწერა საფლავის ქვაზე.

**შვეულად:** 1. მე-16- ს-ის ვენეციური სკოლის გამოჩენილი იტალიელი ფერმწერი. 3. მუსიკაში, ცეკვაში ან მეტყველებაში რიტმის თანაბრობა. 4. რისამე განხილვა ღირსების ან ნაკლის გამოსაკვლევად. 6. მეე-16 ს-ის გამოჩენილი ფრანგი მწერალი. 8. ბერძნული ანბანის ასო. 11. მე-19 ს-ის უნგრელი მწერალი, იღებდა მონაწილეობას 1848-49 წლების რევოლუციაში. 12. ჭვირნიშნიანი ერთგვარი ქაღალდი. 13. გარკვეული წესით შედგენილი წიგნების ან რაიმე საგნების სია. 14. მზის სისტემის პლანეტა. 15. კეთილხმოვანი ჰანგი, მოტივი. 16. მსუბუქი, ცოტა უხამსი შინაარსის კომედია. 17. გამჭვირვალე გამოსახულება მინაზე.

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. კვადრანტი. 3. კვაზიმოდო. 5. კობზარი. 8. რეტორტა. 12. გრიმი. 13. გოგრა. 14. ინდექსი. 15. ინტრიგა. 17. შარჟი. 19. რომანსი. 22. კარო. 23. ბერანჟე. 24. ტიკი. 25. ესტრადა. 26. გრიგი. 27. იავნანა. 31. ანალები. 36. პოეტი. 37. გოეთე. 38. ბაირონი. 39. ავიაცია. 40. იეროგლიფი. 41. ამფიბრაქი.

**შვეულად:** 1. კარიატიდი. 2. ილინსკი. 3. კურსივი. 4. ორიგინალი. 6. ოპერა. 7. არმია. 9. ტანგო. 10. ტიტრი. 11. მნე. 16. ასპინძა. 18. რაფაელი. 19. როსტანი. 20. გაბრო. 21. მოემი. 25. ევდოშვილი. 28. აპოსტროფი. 29. პოემა. 30. ჰიუგო. 31. ადონისი. 32. ლომი. 33. ინდიანა. 34. იგავი. 35. ეური.

მთავარი რედაქტორი
ნოდარ ბრიბალაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
დავით ბერძენიშვილი, რომან ბოცირიძე, თამაზ დიასამიძე, გელა ებანოიძე (პასუხისმგებელი მდივანი), მიხეილ მახარაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ნოდარ ნათაძე, შოთა ნადირაშვილი, თედო პაატაშვილი, ივლიანე ხაინდრავა.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი,
პუშკინის ქ. 5

შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 1500 რუბლი,
შ. პ. კუპონებში.

ტელეფონები:
რედაქტორი:
93-20-36,
რედაქტორის მოადგილე, პასუხისმგებელი მდივანი:
93-19-99
93-18-41